# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 ივლისი 2007 №169 (3092) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყაზახეთი: ქართული კლუბების АСТАНОВКА!



# 0:3!

[illegible] ფოტო

# სისხლიანი ვინო

## ტსთ-ს ველოგიგანტი დოპინგზე ჩავარდა



თანამედროვე ველორბოლაში დოპინგით მამაძალლობის გამსკდარმა ამბებმა კარგა ხანია, დაკარგა მეხის გავარდნის ეფექტი და ლამის ყოველდღიურ სიახლედ იქცა. მიმდინარე ტურ დე ფრანსი თითქოს მშვიდად მიგორავდა, მაგრამ აი, პირველი სკანდალი და მისი მსხვერპლი: ალექსანდრ ვინოკუროვი!

ყაზახურ გუნდ „ასტანას“ ყაზახ-რუსი ლიდერი ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით ჩავიდა საფრანგეთში. შაბათს მან ინდივიდუალური ეტაპი მოიგო. ფინიშის შემდეგ სისხლის ანალიზი აუღეს და... არის! ასეთი მკაფიო დოპინგპასუხის შემდეგ ვინოკუროვი შორს ვერ წავა. მას უკვე აღარ სცალია პედლების სატრიალოდ, გულის კანკალით ელის განმეორებით ტესტს და თუ იქაც დადებითი შედეგი ამოვიდა, მისთვის ველორბოლა პრაქტიკულად სამუდამოდ დასრულდება. ვინო 33 წლისაა და ნაკლებსავარაუდოა, ორწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ 35 წლისას მოუნდეს ველოზე ამხედრება.

# 39 ქულა!

## გუშინ ზაზა ფაჩულიამ მაკედონია დაბომბა

ბულგარეთში მიმდინარე „ვივატელის თასზე“, ანუ სტანდარტულ ამხანაგურ ოთხთა ტურნირზე პირველ მატჩში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა მასპინძელ ბულგარეთთან 32-ქულიანი მარცხის შემდეგ ცოტა დაისვენა და მეორე თამაშში 86:82 დაამარცხა მასპინძლებზე არანაკლებ ამბიციური მაკედონია. ნაკრების ახალი თავკაცის, კენ შილდსის პირველ ქართულ გამარჯვებაში 39 ქულით ლომის წილი ზაზა ფაჩულიამ დაიდო.





FMMI — ამ ინგლისურ კომპანიასთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მაისის დასაწყისში გააფორმა ხელშეკრულება, რისი ლაიტმოტივიც, ზოგადად, ქართული ფეხბურთის განვითარება იყო.უფრო კონკრეტულად კი, FMMI-ის წარმომადგენლები საქართველოში არიან ჩამოსულნი და სტადიონებს ათვალიერებენ, სწავლობენ, სად რა არის გასაკეთებელი, რომელი სარბიელი რა მდგომარეობაშია. მათთან ერთად არიან ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე. ქავთარაძეს FMMI-ის საქმიანობაზე ვკითხეთ და, ცხადია, სხვა თემებზეც ვესაუბრეთ — მოახლოებული ამხანაგური მატჩი ლუქსემბურგთან, ნაკრების მომდევნო სავარაუდო ტესტ-თამაშები...

# ინგლისელები ქართულს სწავლობენ

## გოგი ქავთარაძე: ერთ წელიწადში 6-7 ევროპული დონის სტადიონი გვექნება

— ინგლისელმა სტუმრებმა ზესტაფონის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის და სამტრედიის სტადიონები დაათვალიერეს, დღესვე ქობულეთში ჩავალთ, მერე ბათუმში და ზეალ დილიდან დასავლეთ საქართველოს სხვა სტადიონებსაც ვნახავთ. FMMI-ის ექსპერტები ყველა სტადიონის მდგომარეობას სწავლობენ, სად რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რამდენ მაყურებელს უნდა იტევდეს ტრიბუნები — ცხადია, ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მძლავრია ეკონომიკურად ესა თუ ის რაიონი, რამდენი მაცხოვრებელია იმ ქალაქში, სადაც ეს სტადიონი უნდა შეკეთდეს ან თავიდან აშენდეს.

— ჩვენი სტადიონების შემხედვარე, შესასწავლი ძალიან ბევრია...

— ცხადია. ინგლისელები მესამედ არიან საქართველოში, სექტემბერში კი შესწავლას დაასრულებენ.

— კონკრეტულად რომელ სტადიონს რა „დიაგნოზი" დაუსვეს?

— მაგალითად, ფოთის სტადიონი დასანგრევი და ახლიდან ასაშენებელია. სამტრედიაში, ზესტაფონში და ზუგდიდში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, იქ სამუშაოები ტარდება. სასიამოვნო იყო ზუგდიდში „ბაიას" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ნახვაც. ქუთაისის სტადიონი კი ვერანაირ სტანდარტებში ვერ ჯდება — იქ მინდორი კარგია, მაგრამ სტადიონი ვიზუალურად უვარგისია და სამუშაოებიც ბლომადაა ჩასატარებელი. პირველ რიგში, ქუთაისის სტადიონზე დიდი დაშორებაა ტრიბუნებსა და მინდორს შორის, თამაშის ყურება მოუხერხებელია და მანძილი უნდა შევიწროვდეს. ამ ყველაფერს FMMI-ის წარმომადგენლები საფუძვლიანად სწავლობენ. ეს საკმაოდ ცნობილი კომპანიაა და ბევრ ქვეყანაში ჰქონია მსგავსი პროექტები.

— სახელმწიფოც დაინტერესებულია სტადიონების რეკონსტრუქცია-მშენებლობით...

— ხელისუფლება სოლიდური თანხის გაღებას აპირებს და წესით, ერთ წელიწადში ექვსი-შვიდი ევროპული დონის სტადიონი იქნება ქვეყანაში. ცხადია, ლაპარაკია არა სუპერარენებზე, არამედ დაახლოებით 5000-10000-მაყურებლიან სარბიელებზე.

—სანაკრებო ამბებზეც გკითხავთ: 22 აგვისტოს ლუქსემბურგთან ამხანაგური გასვლითი მატჩია. კლაუს ტოპმიოლერი როდის ჩამოვა საქართველოში?

— უახლოეს დღეებში. როგორც ხშირად ხდება, ლეგიონერები პირდაპირ ლუქსემბურგში შეუერთდებიან ნაკრებს.

— რამდენად რეალურია 12 სექტემბერს აზერბაიჯანთან სპარინგი და 12 ოქტომბერს ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ჩამოყვანა?

— ორივე ამ ვარიანტზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჯერ კონკრეტულად არაფრის თქმა შემიძლია. კლაუს ტოპმიოლერის სურვილი იყო, უკრაინასთან 8 სექტემბრის შესარჩევი მატჩის შემდეგ შედარებით სუსტ მეტოქეს შევხვედროდით, რათა გუნდი არ გადაღლილიყო და აზერბაიჯანიც სწორედ მისაღები კანდიდატურაა. აზერბაიჯანთან შეიძლება არაოპტიმალური შემადგენლობითაც ვითამაშოთ, გააჩნია, მწვრთნელი როგორ გადაწყვეტს.

— სხვა სავარაუდო სპარინგმეტოქეები არ არიან?

— 12 სექტემბრის მატჩისთვის სხვა კონკრეტული ვარიანტი ჯერ არ გვაქვს, ნოემბრისთვის კი არის შემოთავაზებები, მაგრამ წინასწარ ვერ ვიტყვი.

**ილია ნანობაშვილი**

# სიმურგთანაც აკირემი!

**უეფას** თასის საპასუხო მატჩის წინ „დინამომ" ორკვირიანი პაუზა საკონტროლო მატჩით შეავსო — თბილისელებმა საკუთარ ბაზაზე საქართველოში შეკრებაზე მყოფ ზაქათალის „სიმურგს" უმასპინძლეს და 1:1-ზე გაეყარნენ.

პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ ბრძოლაში გაილია, თუმც „დინამომ" დაწინაურება მაინც მოახერხა: 44-ე წუთზე შოთა კაშიას ჩაწოდებულს ჟორჟ აკირემი შესწვდა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმი „დინამოს" საგრძნობი უპირატესობით წარიმართა. სანდრო კობახიძემ და გიორგი ფეიქრიშვილმა რეალური მომენტები გააცუდეს, გიორგი მერებაშვილის დარტყმული კი ძელმა აისხლიტა.

„დინამოს" უპირატესობის მიუხედავად გოლი მაინც აზერბაიჯანელებმა გაიტანეს — „სიმურგის" უიშვიათესი კონტრშეტევა მაზიარმა თავით დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ „სიმურგში" გასინჯვაზე მყოფმა ექვსმა უკრაინელმა ფეხბურთელმა ითამაშა.

„დინამოს" შემადგენლობა კი ასეთი იყო: *ლორია (ოვონო 46), შ. კაშია (ფირცხალავა 65), გ. კაშია, კრშკო, დობეში (თომაშვილი 46), დილმელაშვილი (ხმალაძე 46), ფეიქრიშვილი, ოდიკაძე, ხუციშვილი (კობახიძე 46), მერებაშვილი, აკირემი (სპასოევიჩი 59).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ჟორჟ აკირემი

# ჟორჟიკაშვილს თვლა აერია

## ცხინვალში ერთი ნიგერიელი დარჩა

**გუშინ** საუმაღლესლიგოდ გამზადებული „ცხინვალის" მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა გუნდი საათნახევარი ავარჯიშა. მის განკარგულებაში ორმოცამდე ფეხბურთელი იყო, ამიტომ ერთი ჯგუფი თავად ჩაიბარა, მეორე კი თავის თანაშემწე არჩილ ჩხაბერიძეს მიანდო.



კობა ჟორჟიკაშვილი და გიორგი ნემსაძე

გუნდთან ერთად კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ნემსაძემაც წაივარჯიშა.

გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელებიც: მეკარე მექსიმე ქვილითაია, ნახევარმცველი მიხეილ სოსელია და თავდამსხმელი დავით გოგოლაძე.

გუშინწინდელ ვარჯიშზე თუ სამი ნიგერიელი იყო, ახლა მხოლოდ ერთი დაგვიხვდა — მცველი შინა ალაბიჯუ, თუმცა მისი გუნდში დარჩენა ჯერაც გადასაწყვეტია.

სხვათა შორის, ვარჯიშს დაესწრო კლუბის პრეზიდენტი გია ოქრუაშვილიც.

**ნუკრი ლოლაძე**



აი, ამდენი ფეხბურთელი ვარჯიშობს „ცხინვალში"

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

I საკვალიფიკაციო ეტაპი, საპასუხო მატჩები

*ბატე (ბელარუსი)* 3:0დ.დ. (2:0) აპოელი (კვიპროსი) (0:2)

1:0 სტასევიჩი (15), 2:0 პლატონოვი (75), 3:0 ბლიზნიუკი (104)

რეინჯერსი (ანდორა) 0:3 *შერიფი (მოლდოვა)* (0:2)

0:1 ბალიმა (68), 0:2 კაიკუტი (72), 0:3 სუვოროვი (84)

კაუნასი (ლიტვა) 3:2 *ზეტა (ჩერნოგორია)* (1:3)

1:0 ბენიუშისი (6), 2:0 გ. კვარაცხელია (16), 3:0 კშანავიჩიუსი (19), 3:1 სტეპანოვიჩი (33), 3:2 ცეტკოვიჩი (90)

*სარაევო (ბოსნია)* 3:1 მარშაძსლოკი (მალტა) (6:0)

1:0 მუსიჩი (42), 2:0 სარაბა (61), 2:1 ფრედო (65), 3:1 ტურკოვიჩი (76)

*დინამო (ხორვატია)* 3:1დ.დ. (1:1) ხაზარი (აზერბაიჯანი) (1:1)

0:1 ჟუნიორი (16), 1:1 ჟუგრინეცი (56), 2:1 მანძუკიჩი (99), 3:1 ტადიჩი (116)

## ევროპის 2009 წლის U-19 ჩემპიონატი

ნახევარფინალი

გერმანია 2:3 საბერძნეთი

ესპანეთი 0:0დ.დ. (პენ.4:2; 0:0) საფრანგეთი

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| პორტსმუთი 1:0 ფულემი | ჩესტერფილდი 0:2 უიგნდი |
| ცსკა (სოფია) 2:0 ძონია | დარლინგტონი 0:2 მიდლსბრო |
| სამხ. ჩინეთი 1:3 ლივერპული | დანდი იუნ. 1:2 მოზერუელი |
| კიოლნი 1:3 ჰანოვერი | გრიმსბი 0:1 ჰალი |
| კიკერსი 4:2 დორტმუნდი | ო. პაირატსი 1:2 ტოტენჰემი |
| ლილი 5:0 შარლერუა | ბრედფორდი 1:1 ბარნლი |
| არისი 0:1 მონაკო | კემბრიჯი 1:1 კოლჩესტერი |
| არჯეში 1:2 პანათინაიკოსი | ექსეტერი 2:4 საუთჰემპტონი |
| ემენი 0:3 ტვენტე | კილმარნოკი 1:3 ნოტინგემი |
| გრონინგენი 1:2 დორდრეხტი | ლეიტონი 1:1 ვესტ ჰემი |
| ლოკომოტივი (სოფია) 0:0 ვალენსია | პარტიკი 0:2 ლესტერი |
| სოლინგენი 1:10 ვუპერტალი | რეინჯერსი 1:1 აიაქსი |
| ზულტე-ვარეგემი 0:0 ვალანსიენი | როჩდეილი 2:1 ოლდემი |
| ოსი 2:2 ვალვაიკი | ტორკი 2:1 ბრისტოლი |
| | ინტერი 1:0 პარტიზანი |

## გერმანია

ლიგის თასის ნახევარფინალი

ნიურნბერგი 2:4 შალკე

*1 გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა*

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი

XI ტური

ვალიური 2:4 ფილკირი

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



კუშტანაი. 24 ივლისი. 16.30 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

**ასტანა 3:0 ოლიმპი (0:0)**

1:0 კუჩმა (11), 2:0 ტლეხუგოვი (52), 3:0 ჟალმაგამბეტოვი (82)

| ასტანა | ოლიმპი |
|---|---|
| ასტანა: ბოიჩენკო, კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ჩიჩულინი (აქსენოვი 84), ტოდოროვი, ბულატოვი, სერგიენკო (კუკეევი 90), კენჟისარიევი, სუჩკოვი, სუიუმაგამბეტოვი (ტლეხუგოვი 46) სათადარიგონი: კუზნეცოვი; კოჩკაევი, აზოვსკი, ალიევი მწვრთნელი: ალექსანდრ ირხინი | ოლიმპი: მერლანი, ჭიჭვეიშვილი (დვალი 52), ორბელაძე, ნავალოვსკი, აკუასაგა, სილაგაძე, ქებაძე (კოშკაძე 66), კახელიშვილი (დვალიშვილი 69), გეწაძე, რ. ჯიქია, ჟივკოვიჩი სათადარიგონი: მ. ალავიძე; მახვილაძე მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |

გაფრთხილება: ბოიჩენკო (79), სილაგაძე (85)

გაძევება: ჯიქია (57)

მსაჯები: ვ. ბანარი, ვ. გუტუ. ვ. გორბატოვი. ვ. ივანჩენკო (ყველა მოლდოვა)

უეფას დელეგატი: ლ. შელინგსი (ბელგია)

# ძველი ახალი სირცხვილი

## ყაზახეთმა ევროპიდან საქართველო გააქრო

ოთარ მაღლაკელიძე კუშტანაიდან

**თამაშის** დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ოდნავადაც არ იგრძნობოდა საფეხბურთო სამზადისი. ტრიბუნებიც თითქმის სულ ცარიელი დაგვიხვდა. ორიოდ წუთში კი აღმოსავლეთის ერთ ტრიბუნას დაახლოებით ოცდაათამდე ყვითლებში გამოწყობილი გულშემატკივარი შეესია. ეს ის ასტანელი ფანები იყვნენ, 850 კილომეტრის ავტობუსით გამოვლა რომ არ დაიზარეს. კუშტანაის „ტობოლის" ფანკლუბის წევრები კი, რა თქმა უნდა, მათ ახლოსაც არ გაჰკარებიან, საპირისპიროდ, დასავლეთზე დასხდნენ და მთელი თამაშის განმავლობაში ნერვიც არ ასტოკებიათ.

„კუშტანაი ჩრდილოეთის ქალაქია. ამინდიც ცუდია და ხალხიც ცივი" — ჩაილაპარაკა გვერდით მჯდომმა ერთმა დედაქალაქელმა ჟურნალისტმა და რომ შევხედე, დაამატა, ასტანელები და ქართველები სულ სხვანაირები, თბილები ვართო.

გუნდები მოთელვაზე გამოვიდნენ და კოკისპირული წვიმაც დაიწყო.

„ოლიმპს" ძირითადი შემადგენლობის თერთმეტი ფეხბურთელი გამოეყო და ცალკე შეუდგნენ ვარჯიშს. ამ თერთმეტეულში რუსთავულ მატჩში ნათამაშევი ფორვარდებიდან ვერც ჯაბა დვალი მოხვდა და ვერც ვლადიმერ დვალიშვილი. ვარლამ კილასონიამ მათ ნაცვლად სასტარტოში რევაზ ჯიქია და გიორგი კახელიშვილი გაამწესა. მიხეილ მახვილაძის ადგილი კი დაცვაში ამპლუით ნახევარმცველმა ლაშა ქებაძემ დაიკავა.

„ასტანას" თავკაცმა ალექსანდრ ირხინმა კი ერთი კვირის წინანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ფორვარდი კირილ კოჩკაევი ამოაგდო და ამ გადაწყვეტილებას ყაზახები არც გაუკვირვებია — მისი ადგილი ხომ გუნდის ლიდერმა მურატ სუიუმაგამბეტოვმა დაიკავა. ფანების ჯილა თავდამსხმელმა რუსთავული მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

პირველი, მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა საწყის წამებზევე ვნახეთ — საჯარიმოს ხაზიდან სერგო ორბელაძემ სუსტად დაარტყა. ვლადან ჟივკოვიჩმა კი დარტყმა პასად შეირგო და თავადაც კარში დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაელობა. ექვს წუთში თამაშში ჩართვა სერგეი ბოიჩენკოს მოუხდა — კახელიშვილმა წინ გამოსულ მეკარეს დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან თავზე გადაუგდო ბურთი. ბოიჩენკო თითებით ძლივს მისწვდა...

მე-11 წუთზე მირზა მერლანის კარიდან ოცდახუთი მეტრის დაშორებით ჯარიმა დაინიშნა. ემილ კენჟისარიევმა ალექსანდრ კუჩმას დაუგორა და ამის ტყვიასავით გასროლილი ბურთი დაბალ კუთხეში შესრიალდა. მერლანმა სველ ბურთს თითებიღა წაჰკრა — 1:0.

ცოტა ხანში მასპინძლებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვებულმა ედუარდ სერგიენკომ ხარიხას გადააცილა.

„ასტანას" შეტევები გაუტკბა და იქვე სწრაფი კონტრშეტევა გაეპარა — რევაზ გეწაძე მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ძლიერად ჩააწოდა. მეკარემ ბურთი ვერ დაიმორჩილა, იქვე ჟივკოვიჩი გაჩნდა და დაარტყა კიდეც, მაგრამ ოდნავ ააცილა.

32-ე წუთზე სერბი კახელიშვილის მარჯვნიდან ჩაწოდებულს ვეღარ შესწვდა, მცველებმაც ვერ გამოიტანეს ხეირიანად და ამჯერად ჯიქიას შეეძლო გატანა, მაგრამ ბოიჩენკომ დაასწრო.

ორიოდ წუთში ჯიქია კიდევ ერთხელ დარჩა საჯარიმოში უყურადღებოდ და ძლიერადაც დაჰკრა, თუმცა არაზუსტად — ბურთმა მარცხენა ძელს ჩაუქროლა. ტაიმის ბოლო სახიფათო მომენტი კი ყაზახებმა შექმნეს. ალექსანდრ სუჩკოვმა სუიმაგაბეტოვი მერლანს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ამან კარში დარტყმას ბურთის გაჩერება არჩია და იქვე დაკარგა.

შესვენებაზე სუიუმაგამბეტოვი არსენ ტლეხუგოვით შეცვალეს. „ოლიმპში" კი პირველი ცვლილება თამაშის განახლებიდან 5 წუთში გაკეთდა — დავით ჭიჭვეიშვილის ნაცვლად თავდამსხმელი ჯაბა დვალი გამოვიდა, მაგრამ „ოლიმპის" წინა ხაზიც და მთლიანად რუსთავული გუნდიც ათიოდ წუთში კაცნაკლული დარჩა — ჯიქია შეტევაში ერთი შეხედვით უწყინარ ეპიზოდში მცველს ეუხეშა და გააძევეს. ამ დროს კი ანგარიში უკვე 2:0 იყო.

მეორე გოლი ტლეხუგოვმა 55-ე წუთზე მართლა ლამაზად შეაგდო — მას საჯარიმოში სუჩკოვმა მარცხნიდან შეაყოლა ბურთი და ტლეხუგოვმაც მერლანს შორეულ კუთხეში აულებელი ბურთი დაურტყა.

„ოლიმპი" დაიბნა, რაც კინაღამ მესამე გოლად დაუჯდა — ერნესტ აკუასაგამ ზედ საჯარიმოს ხაზზე აიკიდა ჯარიმა, კენჟისარიევის დარტყმული კი ძელს მოხვდა.

ვარლამ კილასონიამ კახელიშვილი დვალიშვილით შეცვალა. ლადომაც უმალ საჯარიმოს გარედან დაჰკრა — ბურთი გზად მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მეკარისგან დაუცველი კუთხისკენ წავიდა, მაგრამ კარს ასცდა.

მასპინძლებმა უპირატესობა ნელნელა დაკარგეს. მაგრამ „ოლიმპმა" ერთი ხეირიანი შეტევის წამოწყებაც ვერ შეძლო. ის კი არა, 83-ე წუთზე კონტრშეტევა გაეპარა. მართალია, იმ ეპიზოდს მხოლოდ კუთხური მოჰყვა, მაგრამ ამ კუთხურის შემდეგ სხვაობა სამბურთიანი გახდა — შორეულ ძელთან ჩასაფრებული ჟალმაგამბეტოვი ყველაზე მაღლა ახტა — 3:0.

მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე დვალი-დვალიშვილის კომბინაცია და დარტყმა ვნახეთ, მაგრამ ბურთი კარის ხაზიდან კუჩმამ გამოიტანა.

ასე იწვნია ქართულმა ფეხბურთმა კიდევ ერთი, უკვე მერამდენე სირცხვილი!

ყაზახურმა კლუბებმა („ტობოლმა" „ზესტაფონი", „ასტანამ" კი „ოლიმპი") წლეულს ორი ქართული კლუბი მოინელეს...



# ვიტელებმა მასპინძელი გააბრაზეს


ნესტორ მუმლაძე

მეორე ყირიმული ტესტ-მატჩი გამართა „ვიტ ჯორჯიამ“. ვეტერინართა მეტოქე უკრაინის ჩემპიონატის პირველლიგელი „კრიმტეპლიცა“ გახლდათ.

საინტერესოა, რომ „ვიტ ჯორჯია“ ყირიმში სწორედ „კრიმტეპლიცას“ ბაზაზე ცხოვრობს, მაგრამ მასპინძლებს არცთუ „თავაზიანად“ მოექცნენ და 3:0 მოუგეს.

ანგარიში 21-ე წუთზე პავლე დათუნაიშვილმა გახსნა, ექვს წუთში კი ზაზა სახოკიამ ანგარიში ორამდე გაზარდა.

ნესტორ მუმლაძემ მეორე ტაიმში შემადგენლობა გადაახალისა, მაგრამ თამაშის სურათი არ შეცვლილა და ირაკლი კიკნაძემ მესამეც გაიტანა.

მუმლაძემ „კრიმტეპლიცასთან“ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ბედიაშვილი (მიქაბერიძე 46), პ. დათუნაიშვილი (გ. მელქაძე 78), ლომაია (ადამაძე 78), კაიშაური, ლუჭაშვილი, ინჯგია (რაზმაძე 46), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი (მაისაშვილი 74), სახოკია (ლიპარტია 58), ბერიაშვილი (კიკნაძე 57), კლიმიაშვილი (იმერლიშვილი 76).*

„ვიტ ჯორჯია“ მორიგ საკონტროლო მატჩს ხვალ გამართავს და მისი მეტოქე „ჩერნომორსკოე ნეფტიგაზი“ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ალმასკომი ეროვნულ ფეხბურთს დაამტკიცებს

**27 ივლისს,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე უნდა დამტკიცდეს როგორც 2007-2008 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების, ასევე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების დებულება და კალენდარი.

კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში შეიქმნება სამედიცინო კომიტეტი.

სხდომაზე განხილული იქნება სხვა საკითხებიც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათუმი ივსება: სამეული მოვიდა, სხვები მოვლენ


ამირან გოგიტიძე

**როგორც** ჩანს, ახალი სეზონისთვის „ბათუმი“ თანდათან მოფერიანდება. გუშინდლამდე ზღვისპირელები მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით ვარჯიშობდნენ. გუშინ კი პირველი შევსებაც მიიღეს — თბილისის „დინამოდან“ განათხოვრებით გიორგი ნერგაძე ითამაშებს, რომელმაც გასული სეზონის მეორე წრე სწორედ „ბათუმში“ გაატარა და გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მას „ბორჯომიც“ ეპატიჟებოდა, თუმცა ბათუმელებმა ბოლოწამს იყოჩაღეს და...

ისიც შევიტყვეთ, რომ „ბათუმში“ ითამაშებენ ექსოლიმპელი ზურაბ ძამსაშვილი და ვეტერანი გიორგი თურმანიძე, ვინც მხრის ტრავმა ახლახან მოიშუშა.

როგორც ბათუმელთა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა, ნერგაძის გარდა „დინამოდან“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ელიან და ეს საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ცანკერმა სიაში თვრამეტი ჩაწერა



**27 და 29 ივლისს** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს რუს თანატოლებთან.

ჰერბერტ ცანკერმა ამ მატჩებისთვის 18 ფეხბურთელი გამოიძახა:

*მეკარეები: გიორგი ნადირაძე, გიორგი გუჩაშვილი;*

*მცველები: ბაქარ მირცხულავა, ჯაბული იამანიძე, ბესიკ ამაშუკელი, გიორგი ქვარცხავა;*

*ნახევარმცველები: თემურ შარაშენიძე, ლევან ელიზბარაშვილი, მერაბ მამულაძე, ნიკა ძალამიძე, ჯანიკო ანანიძე, გოგა ქვარაია, გიორგი ჩელებაძე, ნიკა კვეკვესკირი;*

*თავდამსხმელები: ირაკლი შეყილაძე, გიორგი ვაშაკიძე, კონსტანტინე გაბაშვილი, ლევან კუხალეიშვილი.*

17-წლამდელთა ნაკრები მოსკოვში ხვალ მიემგზავრება.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ნოემბრის დასაწყისში თბილისში რუს 17-წლამდელთა საპასუხო ვიზიტია დაგეგმილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონი ვარჯიშობს და ლაპარაკობს

**„ზესტაფონი“** თურქულ შეკრებაზეა და, როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, გუნდი ჩვეულ რიტმში აგრძელებს ვარჯიშს.

როგორც შევიტყვეთ, კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ აგრძელებს მოლაპარებებს თორნიკე აფციაურისა და კოკა მიკუჩაძის გადასაბირებლად და იმედიანად არიან რომ ამ ფეხბურთელების დამატებას შეძლებენ. თუმცა ისიც ითქვა, აფციაური აზერბაიჯანში აპირებს წასვლასო...

რაც შეეხება საკონტროლო თამაშებს, ერთ-ერთი მათგანი „ზესტაფონს“ ხვალისთვის აქვს დაგეგმილი. მათი სავარაუდო მეტოქე ირანული გუნდი უნდა იყოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყენიას შალკე ჯერაც გზაშია



**16 წლის** ლევან ყენია უკვე გერმანიაში გვეგულებოდა — მისივე თქმით, შაბათს უნდა გაფრენილიყო და „შალკესთან“ სამოყვარულო კონტრაქტი გაეფორმებინა, მაგრამ კვლავ საბუთების პრობლემამ იჩინა თავი და როგორ წავა ლევანის საქმეები, ჯერაც უცნობია.

ყენია ისევ თბილისის „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს, რომელიც დღეს ტესტ-მატჩში „ნორჩ დინამოელს“ შეხვდება. თამაში 18 საათზე „ლოკომოტივის“ ბაზაზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ სამიოდ დღის წინ თბილისელები აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრნენ და 4:4 ითამაშეს, არადა, 3:0 იგებდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

# ქალთა დინამოს რუსული დებიუტი

**9-14 აგვისტოს** რუსეთის ქალაქ კრასნოიარმეისკში უეფას თასის შესარჩევი ეტაპი გაიმართება ქალთა გუნდებს შორის. ამ ტურნირში პირველად ითამაშებს საქართველოს ქალთა გუნდი, თბილისის „დინამო“.

ქართველებთან ერთად პირველ შესარჩევ ეტაპზე მოხვდნენ „როსიანკა“, (რუსეთი), „ნაპრედნაკი“ (სერბეთი), და „ილსტროი-1“ (უკრაინა).

უეფას წესდებით, ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის, რომლებიც მერე დანარჩენი შვიდი ჯგუფიდან გასულ საუკეთესოებთან ერთად ოთხ ჯგუფში განაწილდებიან, ამის შემდეგ კი გუნდები მეოთხედფინალში მიმოსვლით ითამაშებენ.

„დინამოს“ ჯგუფის კალენდარი ასეთია:

**9 აგვისტო.** „ილსტროი-1“ — „დინამო“; „როსიანკა“ — „ნაპრედნაკი“;

**11 აგვისტო.** „ნაპრედნაკი“ — „ილსტროი-1“; როსიანკა“ — „დინამო“;

**14 აგვისტო.** „ილსტროი-1“ — „როსიანკა“; „ნაპრედნაკი“ — „დინამო“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შოთა კუჭმა დაასვენა



**ესპანურ** „ლევანტეში“ ახლახან გადაბარგებულ შოთა არველაძეს უკვე ვარჯიშის გამოტოვება მოუხდა — გუშინ დილით სან ლეონარდო დე იაგეში „ლევანტეს“ ვარჯიშისას ქართველი ფეხბურთელი გუნდთან ერთად არ ყოფილა, თუმც საგანგაშო არაფერია.

როგორც კლუბის ვებგვერდი გვამცნობს, არველაძე კუჭის ტკივილს შეუწუხებია და გუშინდელი დღეც ამიტომ გაუცდა.

იმავე ვებგვერდის ცნობით, გუნდის ექიმები უკვე შეუდგნენ ახალწვეული ქართველი თავდამსხმელის კუჭის გამოკვლევას და დღეს დილისთვის ეცოდინებათ, ზუსტად როდის შეეძლება ჩვენებურს ვარჯიშის განახლება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გვაზავა დღეს გააფორმებს

**ლევან გვაზავას** ნალჩიკის „სპარტაკიდან“ წასვლა და ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“ გადასვლის ამბავი გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ.

ამჟამად ფეხბურთელი ოჯახთან ერთად ვლადიკავკაზშია და მოსკოვში დღეს გაემგზავრება, სადაც „ლუჩ-ენერგიას“ წარმომადგენელს შეხვდება და ორწლიან კონტრაქტსაც მოაწერს ხელს.

„ყველა ფორმალური საკითხი უკვე მოგვარებულია, მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა. მოლაპარაკების დეტალებზე საუბარი ახლა არ მსურს, თუმც გეტყვით, რომ ახალი კონტრაქტით კმაყოფილი ვარ და ამიერიდან ახალ გუნდში ვითამაშებ“ — განაცხადა გვაზავამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კარგი ბიჭი

## ჟოზე მაურინიუს ახალი იმიჯი



**ჟოზე მაურინიუ** იმიჯის გამოცვლას ცდილობს. ამბობენ, ამერიკულ შეკრებაზე დარიგებულ ინტერვიუებში ის მთელს თავის მომხიბვლელობას იკრებს და ცუდი ბიჭის სახელს ყველა ხერხით ებრძვის, განსაკუთრებით, ლამაზი ფეხბურთის დაპირებითო.

„ახალ სეზონში უფრო რბილი და ტაქტიანი ვიქნები — განაცხადა ლონდონელთა პორტუგალიელმა მწვრთნელმა — საერთოდ, როგორიც ვარ, ისეთი ვარ და ამას ვერაფერს ვუზამ, მაგრამ ამასთან ერთად ხალხმა ჩემგან რაღაც ურჩხულის ხატვა დაიწყო, ეს კი სწორი არ არის. ის, რომ ემოციური ადამიანი გახლავართ, ფაქტია და ნორმალურია, როდესაც უსამართლობებზე ემოციურად ვრეაგირებ, მაგრამ ხალხმა ამის გამო მცდარი შეხედულება შეიქმნა და მინდა, ეს გამოვასწორო...

...მინდა, მომავალ სეზონში ჩემი გუნდის ფეხბურთიც უფრო სანახაობრივი იყოს. მეტწილად 4-3-3 სქემით ვითამაშებთ და, ვფიქრობ, საამისოდ ყველაფერი მზად არის. ეს სწორი არჩევანი იქნება. ბოლო სამი წლის შედეგები რომ შევაჯამოთ, ნახავთ, რომ „ჩელსის" დარი გუნდი პრემიერლიგაში სხვა არ იყო, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებს, მე მეტი მინდა. ახლა კარგი იქნება, განსხვავებულ ფეხბურთს თუ ვითამაშებთ. ჩვენი მეტოქეები უფრო ჩაკეტვას ცდილობენ, ამიტომაც, ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავიხსნათ. ჩვენნაირი გუნდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოედნის სიგანეზე თამაში. შესაბამისად, ვფიქრობ, გარემარბებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. 4-3-3 განლაგება ანდრეი შევჩენკოს, დიდიე დროგბასა და კლაუდიო პიზაროს ერთმანეთთან კონკურენციისკენ უბიძგებს...

...გასულ სეზონში ჩვენი რესურსების გათვალისწინებით ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ წინა სეზონების დარი ჟინი და გამარჯვებისკენ ლტოლვა არ გვქონდა. ახალ სეზონში, იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ახლა გვყავს, ჩვენ შეგვიძლია, ახალ სიმაღლეებს დავუმიზნოთ".

მაგრამ, დავუბრუნდეთ მაურინიუს ცუდი ბიჭის იმიჯს. იმ სამი წლის განმავლობაში, რაც პრემიერლიგაშია, მაურინიუს კონფლიქტი ჰქონდა ფეხბურთის ასოციაციასთან, პრემიერლიგასთან, უეფასთან და ცალკეულ მსაჯებთან. მის საყვარელ ძაღლთან დაკავშირებული ინციდენტის გამო რამდენიმე საათით დაპატიმრებულიც კი გახლდათ. მწარესიტყვაობა მოუვიდა რაფა ბენიტესთან, არსენ ვენგერთან და ალექს ფერგიუსონთან.

„არსენ ვენგერს გულში არც ახალ სეზონში ჩავიხუტებ, რადგან ის ჩემი მეგობარი არ არის, მაგრამ ჩვენს შესახებ თუ რამეს თქმა უნდა, თქვას. მას შეუძლია დაიჩივლოს, რომ [illegible] როგორც მას სურს. ამის ხომ ვენგერი ადრე [illegible] მაგრამ ადრე მე ვეპასუხებოდი, ახლა კი ხმის ამომღები არა ვარ, მხოლოდ ის მინდა, ჩემს საქმეზე მოვიკრიბო გონება და მორჩა. მეტოქეების შესწავლა მათი თამაშის გამო მინდა და არა იმიტომ, რომ ვიცოდე, ჩვენზე ვინ რას ამბობს...

...რაც შეეხება ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, აქ არაფერი შეიცვლება. ფერგიუსონთან ჩემი ერთი ბოთლი ღვინო ერთ ბოთლ ღვინოდ დარჩება, ვენგერისთვის ხელის ჩამორთმევა კი ხელის ჩამორთმევად".

მაურინიუმ „ჩელსის" მეპატრონესთან, რომან აბრამოვიჩთანაც მოაგვარა ყოველგვარი გაუგებრობა და გასულ კვირას ისინი ლოს ანჯელესის სასტუმროში ერთად, ლუდით ხელში დაინახეს.

მაურინიუ განაგრძობს: „ცხოვრებაში პირველად ვიწყებ მეოთხე სეზონს ერთსა და იმავე გუნდში. ეს ჩინებული გრძნობაა. აქ ჩინებული ურთიერთობებია. მე მიხარია, რომ ჩემს ფეხბურთელებთან და კლუბში მომუშავე პერსონალთან ასეთი საუცხოო ურთიერთობები ჩამომიყალიბდა. ამაზე უკეთესი ადგილი სამუშაოდ სხვა არ მეგულება. ნამდვილად არ მინდა სადმე წასვლა. ვიცი, პორტუგალიაში ბევრს ვუყვარვარ, მაგრამ ლონდონში გაცილებით უკეთესად ვცხოვრობ. აქ ხალხი სხვანაირად მეპყრობა. აქ მეტი სივრცეა, ჩემი ცხოვრება კი მარტივია. აქ რესტორანშიც დავდივარ, ცოლთან ერთად მაღაზიებში შევდივარ, ბავშვი სკოლაში მიმყავს და არავინ მაწუხებს".

**ბაჩუნა ძიდია**

# ადამიანი დევიდი



**დევიდ ბექემმა** და ვიქტორია ადამსმა, თუმცა, ბუნებრივია, უფრო ვიქტორია ადამსმა, ლოს ანჯელესში დიდი მიღება მოაწყვეს. მიღებაზე ყველაფერი იყო, წითელი ხალიჩით და პაპარაცებით დაწყებული, სელებრითი სტუმრებით და მოდური ჩაცმა-დახურვით დამთავრებული. ინგლისურ გაზეთებში დაწერეს, პოშმა წვეულება გარკვეული გაგებით მოდების ჩვენებადაც კი აქციაო.

მადამ ბექემს ცამდე მაღალ ქუსლებზე შემოდგმული ფეხსაცმელი და მოკლე შავი კაბა ეცვა, ხოლო ამერიკის ფეხბურთში რევოლუციის მოსახდენად ჩაყვანილ მის მეუღლეს მჭიდროდ მომჯდარი ნაცრისფერი კოსტიუმი ემოსა და გადაპრანჭულ გარემოში საკმაოდ სადად, შეიძლება ითქვას, ადამიანურად გამოიყურებოდა.

იტყობინებიან, რომ დევიდს წვეულებაზე ერთი ცეკვა — ჩვენში ჭიპხახუნას რომ უწოდებენ — პირადად მიეძღვნა, ხოლო კედელზე მისი ნომერი, 23 იყო გამოსახული.

ზეიმი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა და მასზე მოულხინეს უილ სმიტმა, ჯიმ კერიმ, ევა ლონგორიამ, ბრუკ შილდსმა, მელ ბიმ, მეტ ლუკასმა, დემი მურმა, მისმა ქმარყოფილმა ბრიუს უილისმა და მრავალმა სხვამ, რომელთა სახელების ჩამოთვლით საგაზეთო სვეტის გავსება საინტერესო არ იქნებოდა... აბელ შავიერიც კი იყო, სერენა უილიამსიც...

და რასაკვირველია, სადაც ვიქტორია ბექემია, იქ არიან ტომ კრუზი და კეიტ ჰოლმსი.

ერთი სიტყვით, ამერიკაში საფეხბურთო რეფორმები დაიწყო.

**ბაჩუნა ძიდია**



ევა ლონგორია





ტომ კრუზი, კეიტ ჰოლმსი, ვიქტორია ადამსი, დევიდ ბექემი, ჯადა პინკეტ-სმიტი და უილ სმიტი



ჯიმ კერი და ჯენი მაკკარტი

# დაპირება კონტრაქტი რომ იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა








## ლივერპული მანჩესტერს უჩივის

„მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ გაბრიელ ჰაინცეს გამო ერთმანეთს ომს უცხადებენ. გუშინ ალექს ფერგიუსონმა ერთხელაც და ძველებურად კატეგორიული ტონით განაცხადა, რომ არგენტინელი მარცხენა მცველი არ იყიდება.

„ვიმეორებ, ჰაინცე „ლივერპულის“ ფეხბურთელი ვერ გახდება, ხოლო ის, რასაც მისი აგენტი აკეთებს, ძალიან ცუდი და სამწუხაროა. ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა და მას ვერაფერი შეცვლის, ასე რომ, საკითხი ამოწურულია“ — დაიქუხა სერმა.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 6,8 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო და ახლა სასამართლოში აპირებს ჩივილს.

„იუნაიტედის“ თავკაცმა ინტერვიუ, რომლის ერთი ციტატაც ზემოთ უკვე შემოგთავაზეთ, მაკაოში მისცა, სადაც მისი გუნდი ამხანაგურ თამაშებს მართავს. ამ ინტერვიუში მან თითი ჰაინცეს ზემოხსენებული აგენტისკენ, მავანი რობერტო როდრიგესისკენ გაიშვირა.

„ჩვენ დაკვირვებით ვსწავლობთ რამდენიმე საკითხს. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანია, როდის მიმართა როდრიგესმა „ლივერპულს“ პირველად“ — ბრძანა ფერგიუსონმა, რომელსაც ამ განცხადებით საქმე „მანჩესტერის“ ზურგსუკან მოლაპარაკებების დამტკიცებისკენ მიჰყავს.

შეგახსენებთ, რომ როდესაც ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ კლუბს ეკუთვნის, სხვა ძალებს ამ კლუბის ზურგსუკან გარიგების უფლება არ აქვთ.

ჰაინცეს კი სხვა პოზიცია და არგუმენტები აქვს. ის ამტკიცებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მას სხვა გუნდში გადასვლის ნება დართო და ამის დამამტკიცებელი წერილიც აქვს, რომელშიც წერია, რომ თუ გამოჩნდება მყიდველი მხარე, რომელიც 6,8 მილიონ გირვანქას გადაიხდის (აქამდე 6 მილიონს ამბობდნენ), მანჩესტერული კლუბი არგენტინელ ფეხბურთელს პრობლემას არ შეუქმნის.

მაგრამ, აი, როგორ უყურებს ამ წერილს „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი: „წერილი კონტრაქტი არ გახლავთ. ჩვენ ჰაინცეს აგენტს გასაგებად ვუთხარით, რომ მისი კლიენტი „ლივერპულში“ ვერ გადავა, მორჩა და გათავდა“.

მორჩა და გათავდა, რასაკვირველია, შთამბეჭდავი ფრაზაა, მაგრამ გილზე ნაკლებ ჯიუტი არც „ლივერპულის“ ესპანელი მწვრთნელი რაფა ბენიტესი ჩანს.

„ჩვენ მათ წინადადებით მივმართეთ, მაგრამ უარი მივიღეთ. კეთილი, თუ ასეა, ახლა საქმეს ადვოკატებს გადავცემთ. დაე, მათ გაარკვიონ მტყუან-მართალი“ — თქვა ბენიტესმა.

**ბაჩუნა ძიდია**



## არსენი და ჯიბეზე ხელგაკრულები

**არსენ ვენგერი** პრემიერლიგელი კონკურენტების სატრანსფერო თანხებმა გააოცა, ეს რამდენი ჰქონიათო.

„არსენალის“ შეფი გაკვირვებული თვალებით შეჰყურებს 50-მილიონგირვანქიან ზღვარს, რომელსაც „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიუახლოვდნენ, თუმცა მხოლოდ დიდი გუნდებისა რა უნდა გიკვირდეს, როდესაც „ფულემმა“, „პორტსმუთმა“, „სანდერლენდმა“ და „ტოტენჰემმაც“ სერიოზულად გაიკრეს ხელი ჯიბეზე.

„ისეთი თანხები იხარჯება, დაჯერებაც კი ძალიან ძნელია — უთხრა ვენგერმა ჟურნალისტებს — როგორც ჩანს, ამ ზაფხულს ბანკებმა დიდი გულუხვობა გამოიჩინეს, მაგრამ ვინც და რამდენიც უნდა ხარჯოს, ერთს რამეს ვერ შეცვლიან: მოედანზე, ყოველ შეხვედრაში 11 ფეხბურთელი უნდა გავიდეს. ერთი სიტყვით, ის, რომ ვიღაცამ 50 მილიონი გაიღო, სულაც არ ნიშნავს, რომ მას სხვაზე უკეთესი გუნდი ჰყავს. პირადად მე ჩემს განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების განვითარებას ვაპირებ. შეხედეთ, თუნდაც შუა ნახევარდაცვას. აქ სესკ ფაბრეგასი, აბუ დიაბი, დენილსონი, მეტიუ ფლამინი და ჟილბერტო სილვა მყავს. ფლანგებზე არიან ალექსანდ გლები, თეო უოლკოტი, ტომაშ როსიცკი და ემანუელ ებუე. თითოეული ამ ფეხბურთელთაგანი აღმავლობის გზას ადგას. მწვერვალს ერთი მათგანიც არ გადასცილებია. მათი ოსტატობა იხვეწება და იხვეწება“.

**ბაჩუნა ძიდია**

## რეიესს ლიონიც მიადგა

**ხოსე** ანტონიო რეიესის მადრიდული მომავალი ჰაერში გამოეკიდა. „არსენალმა“ „რეალის“ ჯერჯერობით ბოლო სატრანსფერო შემოთავაზებაც უარყო (10 მილიონი ევრო) და ახლა „მეთოფეები“ რეიესის თაობაზე ფრანგულ „ლიონს“ ეთათბირებიან.

დიახ, საფრანგეთის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრების წევრით დაინტერესდა. რეიესის კლუბში მიყვანა „ლიონის“ პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლასაც უნდა და მწვრთნელ ალენ პერენსაც.

„ხოსე ანტონიო რეიესზე ჩვენს სპორტულ დირექტორს ველაპარაკე. მან მითხრა, რომ რეიესი ძლიერი ფეხბურთელია და „ლიონის“ ერთ-ერთ სამიზნედ ითვლება“ — განუცხადა ოლამ „ეკიპს“.

თავად რეიესი ახლა ესპანეთშია არდადეგებზე. ფეხბურთელს „არსენალიდან“ არავითარი შეტყობინება არ მიუღია იმის თაობაზე, რომ „მეთოფეები“ შეკრებაზე კლუბში იძახებენ. ხოსემ იცის, რომ „არსენალში“ კარიერის გაგრძელება ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუმცა არც ფრანგული ვარიანტი მოსწონს — მისი მიზანი ხომ მადრიდის „რეალში“ თამაშია.

ბერნდ შუსტერი, „სამეფო გუნდის“ დამრიგებელი, რეიესის დატოვების მომხრეა, მაგრამ ჯერ ეს არაფერს წყვეტს, რადგანაც მადრიდელები მასში 14 მილიონის გადახდას არ აპირებენ.

თავიდან „არსენალმა“ რეიესის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო მოითხოვა, შემდეგ ეს თანხა 14 მილიონამდე შეამცირა, თუმცა „რეალი“ 10 მილიონს იმეტებს.

ისე კი, მარტო „ლიონი“ არ არის რეიესის მოსურნე — მადრიდის „ატლეტიკოს“ მშვენივრად ახსოვს, ადრე ხოსე ანტონიო რეიესის შეძენამდე ერთი ნაბიჯი რომ დააკლდა და ესპანური „ასი“ წერს, რომ ლონდონში „არსენალთან“ მოლაპარაკება „ათლეტთა“ აგენტებსაც გაუმართავთ.

**ლადო ხომერიკი**



## მომაქციეთ ყურადღება!



**„მანჩესტერ სიტიმ“** „იუვენტუსს“ ჯორჯო კიელინიში 7 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

22 წლის მცველი ტურინში უკმაყოფილოა, მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ყურადღებას აღარ მაქცევსო.

ცოტა ხნის წინ „ლივერპულსაც“ სურდა იტალიელი ფეხბურთელის გადაბირება, მაგრამ „იუვემ“ 5 მილიონი იუარა.

„სიტის“ თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა უკვე იყიდა ერთი იტალიელი — ფორვარდი როლანდო ბიანკი „რეჯინადან“.

ინგლისური მედიის ცნობით, სიტელები ნახევარმცველი მანუელე ბლაზის შეძენასაც აპირებენ, რომელიც „იუვენტუსს“ ეკუთვნის და წინა სეზონში „ფიორენტინაში“ იყო განათხოვრებული.

**მაჟა ხუციშვილი**

# აქ ყველაფერი მახარებს
## ოლივეირა სარაგოსათი კმაყოფილია



„სარაგოსამ“ რიკარდო ოლივეირას პრეზენტაცია მოუწყო — ამიერიდან ბრაზილიელი ფორვარდი არაგონულ კლუბში ითამაშებს.

„აქ გოლების გასატანად მოვედი. მინდა, ხალხს ჩემი თამაშით სიხარული მივანიჭო“ — თქვა ოლივიერამ „ლა რომარედას“ არენაზე ოფიციალური წარდგენისას და ქომაგთა ოვაციებიც დაიმსახურა

რიკარდო ოლივეირა თავის დროზე „ბეტისის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, შემდეგ კი „მილანში“ გადავიდა, სადაც ფრიად უფერული სეზონი ჰქონდა.

„ჩემი მიზანია, „სარაგოსაში“, ამ შესანიშნავ კლუბში თამაშით, ფეხბურთით ვისიამოვნო. იტალიაში უკიდურესად დაძაბული ვიყავი — ჯერ ჩემი და გაიტაცეს, შემდეგ ტრავმა მივიღე და ყოველივე ამის გამო ცუდი სეზონის გამომივიდა. ესპანეთში კი თავს ყოველთვის შესანიშნავად ვგრძნობდი. მინდა, „სარაგოსაში“ უფრო ბედნიერი ვიყო, ვიდრე „ბეტისში“ ვიყავი. თავდაპირველად 20 გოლი გატანას ვაპირებ, მერე კი ვნახოთ, მოვლენები როგორ წარიმართება“ — უთხრა ბრაზილიელმა მედიას.

ოკეანისგაღმელი ფეხბურთელის წარდგენას „ლა რომარედაზე“ მცირე ხანში ალბათ ბასკი დანი არანსუბიას პრეზენტაციაც მოჰყვება — „სარაგოსა“ „ბილბაოს“ მეკარის ყიდვას აპირებს, ბასკები კი „ესპანიოლიდან“ გორკა ირაისოსის მიყვანას გეგმავენ.

**ლადო ხომერიკი**

# დუდეკის ექსპრეს-დებიუტი



იკერ კასილიასი

**იკერ კასილიასი** დაშავდა და „სტოკ სიტისთან“ შეხვედრაში მადრიდის „რეალის“ კარს ახალწვეული ირჟი დუდეკი დაიცავს.

კასილიასს ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა. როგორც გუნდის ექიმები აცხადებენ, სერიოზული არაფერია, თუმცა იკერი მიგელ ტორესთან და რუუდ ვან ნისტელროისთან ერთად აღდგენითი ვარჯიშების სპეცკურსს მაინც გივლის. ტორესს და ვან ნისტელროის კი გასულ სეზონში მიღებული ტრავმები ჯერაც არ მორჩენიათ.

ასე რომ, მოსამზადებელი ეტაპის პირველი მატჩი მადრიდის „რეალისთვის“ ძირითადი მეკარის გარეშე ჩაივლის. ბერნდ შუსტერის გუნდი ავსტრიულ ირდინინგში შეერკინება ინგლისის მეორე დივიზიონის ბინადარ „სტოკ სიტის“.

**ლადო ხომერიკი**

# ფაბიო კაპელო: რეალის ფანებს ჩემი სჯეროდათ

**ფაბიო კაპელოს** მტკიცებით, „რეალის“ ფანების დიდ ნაწილს სურდა, რომ იგი კლუბში დარჩენილიყო, მაგრამ მადრიდელთა ხელმძღვანელობამ ეს არ გაითვალისწინა.

მოგეხსენებათ, გამოცდილმა იტალიელმა ტაქტიკოსმა „სამეფო გუნდს“ ოთხწლიანი პაუზის შემდეგ პირველი ტიტული — ესპანეთის ჩემპიონობა მოაგებინა, მაგრამ იგი მაინც დაითხოვეს.

„გამოკითხვებმა აჩვენა, რომ „რეალის“ ქომაგების 70 პროცენტს სურდა, დავრჩენილიყავი, მაგრამ მადრიდელთა პრეზიდენტ რამონ კალდერონს სხვანაირი ხედვა ჰქონდა. რას ვიზამთ, ულაპარაკოდ დავთანხმდი მის გადაწყვეტილებას და ყოველთვის ასე ვიქცეოდი, რადგან პროფესიონალი ვარ და, რასაც უფროსობა გადაწყვეტს, უნდა შევეგუო“ — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

„მილანის“, „რომასა“ და „იუვენტუსის“ ყოფილი თავკაცი ახლა უქმადაა და ერთი წელი მწვრთნელობას არც აპირებს. იგი ტელეკომპანია RAI-ზე კომენტატორად იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ მან უარყო ამერიკული და რუსული კლუბების წინადადებები.

ფაბიო კაპელო: „ეს ერთი წელი ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. მინდა, კარგად დავისვენო, ვიფიქრო და გადავწყვიტო, თუ რას ვიზამ მერე. ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ ერთი წელი მწვრთნელობას არ ვაპირებ. ჩემთვის მთავარია, სადაც ვმუშაობ, იქ ბოლომდე მენდობოდნენ და სჯეროდეთ ჩემი. „რეალში“ მთლად ასე არ იყო, მაგრამ იქ გატარებული პერიოდით მაინც კმაყოფილი ვარ. ერთადერთი, მაშინ შემეშინდა, როცა ბოლო ტურში „მალიორკასთან“ 0:1-ს ვაგებდით. ვიფიქრე, მთელ ნაშრომს წყალში ვყრით-მეთქი, თუმცა მეორე ტაიმში, საბედნიეროდ, ყველაფერი გამოსწორდა და ჩემპიონები გავხდით.“

დონ ფაბიოს სერია A-ს მომავალ სეზონზეც ჰკითხეს აზრი. იგი თვლის, რომ „ინტერი“ სკუდეტოს მოპოვების მთავარი ფავორიტია.

— „ინტერი“ იტალიის მოქმედი ჩემპიონი და ბევრი მაღალი კლასის მოთამაშით დაკომპლექტებული ძალიან ძლიერი გუნდია. რაც შეეხება სხვა კლუბებს, ისინი ალბათ სატრანსფერო ბაზარზე კიდევ იაქტიურებენ და უფრო ნათელი სურათი 31 აგვისტოს შემდეგ შეიქმნება“ — დასძინა კაპელომ.

**გიორგი კაკაბაძე**



## უარი ოქროს მთებს

**ფილიპო ინძაგიმ** მეიჯორ ლიგის „ნიუ იორკ რედ ბულზში“ გადასვლა იუარა და თქვა, კარიერას „მილანში“ [illegible]

იტალიურმა კლუბმა შეკრება დაიწყო „მილანელოში“ და ფორვარდმაც ჟურნალისტებთან იქ ისაუბრა: „მეტად სარფიანი წინადადება მივიღე „რედ ბულზიდან“. ნიუ იორკი დიდებული ქალაქია, სადაც ბევრი იტალიელი ცხოვრობს. ოქროს მთებს მპირდებოდნენ, მაგრამ „მილანში“ დარჩენა და კარიერის აქ დასრულება მსურს, რადგან ეს ჩემი მეორე სახლია. ამ გუნდის მაისურით თამაში ნებისმიერისთვის დიდი ჯილდოა“.

## ლავი მილანისთვის

**რუსული** მედიის ცნობით, „მილანი“ ვაგნერ ლავით დაინტერესდა და 23 წლის ფორვარდში 11 მილიონ ევროს გაიმეტებს. მოსკოვის ცსკა-ში ფაქსიც მისულა მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.

ბრაზილიელ მეგოლეში შეთავაზებული თანხა საკმაოდ მსუყეა, მაგრამ ცსკა-ს ჩემპიონთა ლიგა ელის და ფეხბურთელის გაშვება არ უნდა.

ვაგნერ ლავი „კოპა ამერიკას“ დაწყებამდე შეუთანხმდა კლუბს ტურნირის შემდეგ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რომლითაც თვეში 150 ათას დოლარს მიიღებს. ახლა მისი ჯამაგირი 95 ათასია.

## ილსინიო ხუთშაბათს იტყვის

**„სან პაულუს“** მარჯვენა მცველი ილსინიო შეიძლება დონეცკის „შახტარში“ გადავიდეს. კლუბები უკვე მორიგდნენ 11 მილიონ ევროზე და სიტყვა ფეხბურთელზეა.

21 წლის ბრაზილიელი დონეცკში ჩასვლას და კლუბის გაცნობას აპირებს, გადაწყვეტილებას კი შემდეგ მიიღებს.

ილსინიო ალბათ ხვალ ჩაბრძანდება უკრაინაში და „შახტარი“ — „ზარიას“ მატჩს დაესწრება.

## არსენალი აპიას აპირებს

**ლონდონის** „არსენალს“ სტამბოლის „ფენერბაჩედან“ სტეფან აპიას ყიდვა უნდა — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი“.

„მეთოფეები“ თურქებს ჯერ კიდევ იანვარში დაუკავშირდნენ განელი ნახევარმცველის თაობაზე და ახლა მოლაპარაკებას აგრძელებენ.

26 წლის აპიას ფასი დაახლოებით 8 მილიონი გირვანქაა. მისით „ვესტ ჰემი“ და „შალკეც“ დაინტერესდნენ.

## მწვრთნელი-მოჩვენება

**„როსტოვის“** ერთკვირიანი მწვრთნელი პაველ იაკოვენკო დონისპირა ქალაქიდან გაქრა. მან შვიდი დღე იმუშავა და წავიდა. 16 ივლისს სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სერგეი ბალხანინი შეცვალა, გასულ კვირა დღეს კი „ლუჩთან“ მატჩის (1:1) შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა და მას აქეთ „როსტოვის“ შეფებს აღარ უნახავთ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ თანაშემწეებთან ერთად ავტომობილით ქალაქიდან წასულა.

ახლა გუნდი, რომელიც ბოლო ადგილზეა, დროებით ოლეგ დოლმატოვს ჩააბარეს.

## სენდეროსი იტალიურს ისწავლის

**„იუვენტუსი“** „არსენალის“ მცველ ფილიპ სენდეროსის შეძენას ლამობს და 3 მილიონი გირვანქა გაუმზადებია“ — წერს ბრიტანული „მირორი“.

შვეიცარიელი ფეხბურთელი 2003 წელს გადავიდა „მეთოფეებში“ და თავიდან ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ტრავმების, შარშან კი უილიამ გალასის მისვლის გამო სათადარიგოდ იქცა.

„იუვეს“ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის აზრით, სენდეროსი იოლად ჩაეწერება იტალიურ ფეხბურთში.

## რეკობას ნასიონალური ოცნება

**„ინტერის“** ურუგვაელ ნახევარმცველ ალვარო რეკობას კარიერის დასრულება სამშობლოში უნდა.

„ჩემი ოცნება — ერთ დღეს „ნასიონალში“ დავბრუნდე — სადაცაა, ასრულდება“ — განაცხადა მან ტელეინტერვიუში.

რეკობას „ინტერში“ დარჩენა აღარ სურს და კლუბის გამოცვლას აპირებს.

31 წლის ფეხბურთელს მადრიდის „ატლეტიკო“, „ნაპოლი“, „ტორინო“ და ყატარის „ალ საადი“ ეპატიჟებიან.

ურუგვაული „ელ ობსერვადორის“ ცნობით, მონტევიდეოს „ნასიონალიც“ მზადაა, ფეხბურთელს კონტრაქტი შესთავაზოს.

## დაპატიჟებულია ვარჯიშზე

**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილი ფორვარდი პატრიკ კლუივერტი ინგლისურმა „შეფილდმა“ სავარჯიშოდ მიიწვია და ეგებ ხელშეკრულებაც გაუფორმონ.

ნაკრების ისტორიაში ყველაზე მეტის გამტანი ფეხბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტია, რადგან პსვ-სთან კონტრაქტი ამოეწურა. იგი კვირის ბოლოს შეფილდში ჩავა და გუნდთან ივარჯიშებს.

კლუივერტს ინგლისში „ნიუკასლში“ უთამაშია სამი წლის წინ, მაგრამ იქაურებს თავი ვერაფრით დაამახსოვრა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# სამუელ ეტოო: არსად მივდივარ!

სამუელ ეტოოს სჯერა, რომ „ბარსელონა“ მომავალ სეზონში წარმატებებს მიაღწევს. კლუბის ახალწვეულთაგან კი კამერუნელს ყველაზე მეტად ტიერი ანრის მისვლა ახარებს.

„ანრი აკლიმატიზაციის პროცესს შესანიშნავად გადის“ — აცხადებს ეტოო. „ასთან“ ინტერვიუში სამუელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ „ბარსელონას“ დატოვებას არ აპირებს...

— როგორ მიდის ეტოოსთვის შეკრება?

— მობილიზებული ვარ და ძალიან მინდა, გუნდის სასარგებლოდ ყველაფერი კარგად გავაკეთო.

— ამ ზაფხულს „მილანში“ თქვენს შესაძლო გადასვლაზე ბევრს საუბრობდნენ...

— თუმცა ეს ყველაფერი ვარაუდები იყო. ხალხი ბევრს ლაპარაკობდა და სულ არ ისმენდა, სამუელ ეტოო რას გეგმავდა თავის მომავალზე.

— და რას ფიქრობთ თქვენს მომავალზე?

— იმას, რომ „ბარსელონაში“ უნდა დავრჩე ჩემს მეგობრებთან ერთად. მე ამ კლუბთან კონტრაქტი მაქვს და არსად წასვლას არ ვაპირებ.

— „ბარსას“ მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს?

— კომპაქტური და ძლიერი შემადგენლობა გვყავს. და ეს მარტო თავდასხმას არ ეხება.

— ახლა ტიტულების მოგებისთვის გაორმაგებული ძალებით იბრძოლებთ...

— რა თქმა უნდა. ოღონდ, ვიცით, რომ ჯილდოების მოპოვება ადვილი არ იქნება.

— რამ შეიძლება „ბარსელონას“ დიდი გამარჯვებებისკენ მიმავალი გზა გაურთულოს?

— იმან, რომ უქმად მოედანზე არც ჩვენი მოწინააღმდეგეები გაჩერდებიან.

— ტიერი ანრი თავს როგორ გრძნობს?

— დანარჩენ ახალწვეულთა მსგავსად, გუნდთან საერთო ენა ადვილად გამონახა. რაც უფრო ჩქარა გაივლიან ადაპტაციას, მით უკეთესი.

— გასული სეზონის შემდეგ თქვენს გუნდში რა შეიცვალა?

— რაც მოხდა, უკვე ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ წარსულის შეცდომებიდან შესაბამისი გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ. გასულ სეზონში ცუდად ვითამაშეთ, ამას გავითვალისწინებთ და მომავალში მსგავს შეცდომას აღარ ჩავიდენთ.

— სამომავალსეზონოდ „ბარსელონაში“ დისციპლინასთან დაკავშირებით წესები გამკაცრდება. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წევრები ვართ და სათანადო სიმაღლეზე ყოფნა გვმართებს. აქ ყველა ზრდასრული მამაკაცია, პასუხისმგებლობას არ გავურბივართ და ვიცით, რომ „ბარსამ“ მარტო ჩვენი ლამაზი ფეხბურთის გამო არ აგვირჩია. აქ პიროვნული ღირსებების გამოც მოვხვდით, რაშიც გულშემატკივრებიც უნდა დარწმუნდნენ.

— „მილანის“ თემას დავუბრუნდეთ. იტალიური გრანდი თქვენი შეძენით ძალიან დაინტერესდა...

— მოხარული ვარ ამის გამო.

— ესპანურ და იტალიურ მედიაში გამუდმებით თქვენზე საუბრამ არ დაგღალათ? ეტოოს „მილანში“ სავარაუდო გადაბარგების ამბავი პრესის საყვარელ თემად იქცა...

— უკვე ვთქვი, ძალიან მიხარია, „მილანის“ დონის გუნდმა ჩემს ფეხბურთს, გოლებს და პიროვნებას რომ მიაქცია ყურადღება. და ეს არა მარტო მე, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ფეხბურთელს გაუხარდებოდა.

— და ამ სიხარულს რა მოჰყვება?

— არაფერი, გარდა იმისა, რომ „ბარსელონაში“ ვრჩები. აქ თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ, „ბარსა“ იგივე ჩემი სახლია.

— ანუ წასვლაზე არ გიფიქრიათ?

— არასდროს. გასულ სეზონში მძიმე ტრავმა მივიღე, მაგრამ სულით არ დავცემულვარ და ფეხბურთს და „ბარსას“ უფრო ძლიერი დავუბრუნდი. ახლაც ისეთივე შეგრძნება მაქვს „კამპ ნოუზე“ მისვლისას, როგორიც პრეზენტაციის დღეს მქონდა.

# დეკუ: მილანის ახალი მიზანი ცხადია, იქვეა ინტერიც

„მილანმა“ უკვე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სამომავალსეზონოდ რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს ყიდვაზე, თუმცა „როსონერის“ წარმომადგენლები კვლავაც ბარსელონაში არიან და იქაური კლუბის უფროსობასთან მოლაპარაკებას ახლა დეკუს თაობაზე აწარმოებენ.



იტალიური „ტუტოსპორტის“ ცნობით, სილვიო ბერლუსკონის გუნდი „ბარსას“ პორტუგალიელი ვარსკვლავის ყიდვით დაინტერესდა. რონალდინიო კი...

„ხუან ლაპორტას რონალდინიოს „მილანში“ გადმოსვლის შესახებ ერთხელაც ვესაუბრე. პრეზიდენტმა მითხრა, რომ ბრაზილიელს თუ გაყიდის, თანამდებობაც უნდა დატოვოს და კატალონიაც“ — თქვა დონ სილვიომ „ტუტოსპორტთან“.

დეკუ შესახებ კი ბერლუსოკონიმ განაცხადა: „გვინდა, სულ ცოტა, ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი შევიძინოთ. ერთ-ერთი მათგანი ალბათ დეკუ იქნება“.

ახლა იტალიაში უკვე დაბეჯითებით ამბობენ, რომ გაისად პორტუგალიელი „როსონერის“ ფორმას მოირგებს. თუმცა ამასვე აცხადებდნენ სამუელ ეტოოს და რონალდინიოს შესახებაც, რაც არ გამართლდა.

დეკუ „მილანის“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ფავორიტია. იტალიელი დამრიგებელი კლუბის პატრონისგან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „ბარსას“ წარმოშობით ბრაზილიელი ნახევარმცველის ყიდვას ითხოვს. დეკუთია დაინტერესებული „მილანის“ დაუძინებელი მტერი „ინტერიც“. თან, „ნეროაძურის“, „როსონერისგან“ განსხვავებით, უპირატესობა აქვს — მაშინ, როცა ბერლუსკონის ბანაკი რონალდინიოს ტრანსფერზე ჩალიჩობდა, „ინტერს“ უშუალოდ დეკუზე მიჰქონდა სატრანსფერო იერიშები და, აპენინური მედიის ცნობით, ამ ფრონტზე გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევია.

ანდერსონ დე სოუზას, იგივე დეკუს, „ბარსელონასთან“ კონტარაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე აქვს. ფეხბურთელთან კონტრაქტის ანულირება კი 75 მილიონი ევრო ღირს

„ბარსას“ თავკაცობა ჯერჯერობით მის გასხვისებაზე უარს ამბობს, „კამპ ნოუზე“ ნახევარმცველმა გასულ სეზონში ულიმღამოდ ითამაშა, თუმცა ხუან ლაპორტას და მის ხალხს იმედი აქვთ, რომ გაისად უკეთესად იბურთავებს.

პორტუგალიელის გარდა „მილანს“ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნებაც უნდა. თითქოს უკრაინელი თავის ძველ გუნდში იჯარით უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა ახლა ირკვევა, რომ „მილანში“ „შევას“ მოსვლაც სირთულეებს უკავშირდება.

„შევჩენკოს გუნდში დაბრუნებას სულით და გულით მივესალმებით, თუმცა „ჩელსიმ“ ამ მხრივ დიდი სირთულეები შეგვიქმნა“ — განაცხადა სილვიო ბერლუსკონიმ.

**ლადო ხომერიკი**

# ინტერი ზლატანს აგრძელებს

**ბოსნიური** ფესვების მქონე შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, მზად ვარ, „ინტერთან“ ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი გავაფორმო და „ნეროაძურიში“ დიდი ხნით დავრჩეო. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულა.

„იბრაკადაბრა“ „ინტერში“ შარშან ზაფხულს „იუვენტუსიდან“ გადავიდა და პირველივე სეზონში გაიბრწყინა — 15 გოლით „ნეროაძურის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სეზონის ბოლო ნაწილი ექსაიქსელს ტრავმის გამო გაუცდა.

იბრაჰიმოვიჩს „შავ-ლურჯების“ უფროსობასთან არცთუ დიდი ხნის წინ ურთიერთობა ცოტა დაეძაბა, რადგან მან საქებარი სიტყვები არ დაიშურა „იუვენტუსისა“ და ტურინელთა ყოფილ დირექტორ ლუჩანო მოჯისადმი, რაც, ცხადია, ინტერელებს არ ესიამოვნათ. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი უკვე დავიწყებას მიეცა და ამბობენ, 25 წლის თავდამსხმელი მალე „ნეროაძურისთან“ კონტრაქტს 2012 წლამდე გააახანგრძლივებს და ხელფასსაც გაუზრდიანო.

„სიტუაცია ძალიან მარტივია. მოქმედ კონტრაქტს ვადა 2010 წელს გასდის და „ინტერის“ ხელმძღვანელობა დაუკავშირდა ჩემს აგენტს მის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები კარგად მიმდინარეობს. ჩემი მომავალი „ნეროაძურის“ უკავშირდება. მინდა, აქ დიდი ხნით დავრჩე. მიხარია, რომ შარშან ზაფხულს „ინტერში“ გადმოვედი, უკეთეს არჩევანს ვერც გავაკეთებდი“ — თქვა იბრაჰიმოვიჩმა.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ოპტიმისტი ზეედორფის განსაკუთრებული მილანი



**ვეტერანმა** ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა „მილანთან“ ერთად მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და ფანებს შეჰპირდა, არანაკლებ წარმატებული სეზონი გველისო.

„ძალიან მიხარია, რომ ვარჯიში განვაახლეთ. „მილანი“ განსაკუთრებული გუნდია, დიდი ოჯახი, რომლის წევრობაც ბრწყინვალე გრძნობაა. ჩვენ კვლავ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ფეხბურთელს ბევრი რამის მიღწევა და შესაძლებლობების გამოვლენა შეუძლია, როდესაც შეკრული კოლექტივის წევრია. „როსონერი“ ამის ჩინებული მაგალითია. სეზონი მინუს ქულებით დავიწყეთ, სერიოზულ ფსიქოლოგიურ წნეხსა და პრობლემებთან ერთად. თუმცა ყველაფერი მშვიდად გადავიტანეთ, ბევრი ვიმუშავეთ და ექსტრაორდინალურ შედეგსაც მივაღწიეთ. მინდა, ფანებს, ფეხბურთელებს, ხელმძღვანელებსა და ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც „მილანს“ გვერდით ედგა და მის ღირსებას იცავდა“ — თქვა „აიაქსის“, „რეალისა“ და „ინტერის“ ყოფილმა მოთამაშემ.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი წინა სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ „მილანში“. იგი გუნდს გოლებითაც შეეწია და ლომის წვლილი შეიტანა „მილანის“ წარმატებაში.

„მომავალი სეზონი ძალიან დატვირთული და რთული იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რათა არანაკლებ წარმატებას მივაღწიოთ. ყველანი ძალიან გახარებულნი ვართ და ოპტიმისტური განწყობა გვაქვს“ — განაცხადა ზეედორფმა.

კოკი კანდელაკი

# კაკა: გუნდის სიმბოლო ვარ

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა კაკამ გუშინ თქვა, რომ „მილანის“ ერთგულია და არასოდეს უთხოვია მადრიდის „რეალში“ გადასვლა. მილანელები თითქმის მთელი წელიწადი იგერიებდნენ „რეალის“ შეტევებს, რომელიც 25 წლის ფეხბურთელის ყიდვას ცდილობდა.

შარშან დაიწყო და გაზაფხულზე გაგრძელდა კაკაზე ჭიდაობა. მადრიდელები არ ეშვებოდნენ „შავწითლებს“ და ნაირ-ნაირი გზებით უჩხიკინებდნენ, კაკას მამა და აგენტი „რეალის“ შეფებს შეხვდა და შვილის შესაძლო გადასვლაზეც ესაუბრა, მაგრამ...

ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მომგებმა ფეხბურთელმა „კოპა ამერიკაზე“ თამაში დაღლილობის გამო იუარა. იგი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა შვებულებიდან, რომელიც ბრაზილიაში გაატარა და „მილანის“ ბაზაზე, პრესკონფერენციისას ბრძანა: „მილანისგან“ არასოდეს არაფერი მომითხოვია. არასოდეს მითქვამს რამე კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, პირობების გაუმჯობესებაზე ან წასვლაზე, როგორც სხვებმა გააკეთეს. ორშაბათს სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, კაკა არ იყიდებაო და ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ — გუნდიდან არ მივდივარ. „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს. „რეალის“ კარი დაკეტილია, თუ მას მილანელები არ გახსნიან და ჩემს გაყიდვას არ გადაწყვეტენ. თავი „მილანის“ სიმბოლოდ მიმაჩნია.“

ვაჟა ხუციშვილი

# სტანკოვიჩმა ჩემპიონთა ლიგა პირადად დაისახა

**მილანის** „ინტერის“ სერბ ნახევარმცველს დეიან სტანკოვიჩს სურს, რომ „ნეროაძურიმ“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. მისი აზრით, „შავ-ლურჯებს“ ამისთვის სათანადოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ.

„ეს წელი და მთლიანად მომავალი სეზონი „ინტერის“ იქნება. ჩვენ ძალიან ძლიერი, შემართული კლუბი გვყავს. მე და მთელ გუნდს გვინდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. ლიგაში მთავარ კონკურენტებად „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ მივიჩნევ. რაც შეეხება სერია A-ს, მომავალი სეზონი წინაზე გაცილებით საინტერესო და დაძაბული იქნება. დაბრუნდა „იუვენტუსი“, „მილანი“ უფრო გაძლიერდა, ასევე არიან „რომა“, „ფიორენტინა“ და „პალერმო“. თუმცა ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვეძლება, რათა სკუდეტო არავის დავუთმოთ“ — აღნიშნა „ლაციოს“ ექსნახევარმცველმა.

სტანკოვიჩმა აზრი გამოთქვა ემერსონისა და კრისტიან კივუს „ინტერში“ შესაძლო გადასვლაზე და „ოქროს ბურთზე“.

„დიდ პატივს ვცემ ჩემს თანაგუნდელებს და ახლაც ძალიან ძლიერები ვართ, მაგრამ ემერსონი და კივუ ბრწყინვალე მოთამაშეები არიან და ნამდვილად გაგვაძლიერებდნენ. ერთ-ერთი მათგანი მაინც რომ დავიმატოთ, კარგი იქნება. რაც შეეხება „ოქროს ბურთს“, იმედია, მას მომავალ წელს ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოიგებს, იგი ამას იმსახურებს. წლეულს კი ფავორიტები სხვანი არიან“ — დასძინა სერბმა.



კოკი კანდელაკი

## იძებნება შანტოლოსოვი

**ბელარუსის** პოლიციამ ძებნა გამოაცხადა ქვეყნის ნაკრების ყოფილ მეკარე ვალერი შანტოლოსოვზე. მას ბრალად ედება ფეხბურთელების მოსყიდვის მცდელობა ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩებისას. 2003 წელს შანტოლოსოვი სტაიკის ბაზაზე მისულა და ბელარუსის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელისთვის ფული შეუთავაზებია უგული თამაშის სანაცვლოდ. გუნდმა 6 სექტემბერს ჩეხეთთან (1:3), 10-ში კი მოლდოვასთან (0:1) წააგო. შ

ანტოლოსოვი ბოლოს ნოვოსიბირსკის „სიბირის“ მეკარეების მწვრთნელად მუშაობდა.

## სანოგო სტვენას გაექცა

**ბრემენის** „ვერდერმა“ „ჰამბურგიდან“ ბუბაქარ სანოგო იყიდა. კოტდივუარელმა ფორვარდმა „მუსიკოსებთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მის სანაცვლოდ დაახლოებით ოთხი მილიონი ევრო გადაიხადეს.

სანოგო ჰამბურგელ ფანებს არ უყვარდათ და სტვენით იკლებდნენ ხოლმე. მას „კაიზერსლაუტერნშიც“ უთამაშია ერთი სეზონი და 10 გოლი გაუტანია, „ჰამბურგში“ კი 31 მატჩში 4 გოლი შეაგდო.

## მოგზაური პარიზში გაჩერდა

**ფრანგი** მცველი ზუმანა კამარა, რომელიც გუნდებს ხელთათმანებივით იცვლის, „სენტ ეტიენიდან“ პსჟ-ში გადავიდა და ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

28 წლის ფეხბურთელი პარიზელებს 6 მილიონი ევრო დაუჯდათ.

კამარას „ინტერში“, „ემპოლიში“, „ბასტიაში“, „მარსელში“, „ლანსსა“ და „ლიდსში“ უთამაშია. 2001 წელს კონფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების მაისურაც მოირგო.

## გომესობა გრძელდება

**გერმანიის** ნაკრების ფორვარდი მარიო გომესი ორშაბათს „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლაზე საუბრობდა, მეორე დღეს კი „შტუტგარტთან“ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა.

22 წლის თავდამსხმელმა გასულ სეზონში 25 მატჩში 14 გოლი გაიტანა და ალბათ მეტსაც შეძლებდა, გაზაფხულზე ტრავმა რომ არ მიეღო.

ბუნდესნაკრებში მას სამჯერ უთამაშია.

## 15 კათხა სამწლიანში

**ქომაგს,** რომელიც დანია — შვედეთის მატჩისას მსაჯის საცემრად მოედანზე შეიჭრა, სამწლიანი პატიმრობა ელის. 29 წლის დანიელი გერმანელ ჰერბერტ ფანდელს ეცა, ერთი მოუქნია და ააცილა, მეორედ მოქნევა კი აღარ დააცალეს. იგი მასპინძელთა კარში დანიშნულმა პენალტმა გააბრაზა.

დაკავებულმა განაცხადა, რომ 15 კათხა ლუდი ჰქონდა დალეული და სისულელე სიმთვრალით მოუვიდა.

## ფაეს რუსეთი

**მოსკოვის** „ლოკომოტივს“ „ნანტიდან“ ნახევარმცველ ემერს ფაეს შეძენა სურს. რუსებმა ორი მილიონი ევრო შესთავაზეს ფრანგებს, მაგრამ ისინი სამს ითხოვენ.

„ფაეს ყიდვა „ნიცასაც“ უნდა და მისი საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება“ — თქვა „ნანტის“ სპორტულმა დირექტორმა ქსავიე გრაველინმა.

## ვენგერის პასუხი სიძუნწეზე

**„არსენალის“** მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ფრედი ლიუნგბერგის კრიტიკას უპასუხა, რომელიც „მეთოფეებიდან“ „ვესტ ჰემში“ გადავიდა.

შვედმა ფეხბურთელმა კლუბი სიძუნწეში დაადანაშაულა — სხვები ძლიერდებიან, ჩვენ კი შევყურებდითო. ვენგერის აზრით, მის გუნდს ამ შემადგენლობითაც შეუძლია პრემიერლიგის მოგება.

„როცა ფეხბურთელის ყიდვას ვაპირებ, საკუთარ თავს, პირველ რიგში, ვეკითხები, შეძლებს თუ არა ეს ბიჭი, დაგვეხმაროს ჩემპიონატის მოგებაში? თუ დარწმუნებული არ ვარ, რომ შეძლებს, ფულს ტყუილად არ გადავყრი. არა მგონია, ჩვენზე უკეთესი იყო რომელიმე გუნდი იმის გამო, რომ 50 მილიონი გირვანქა დახარჯა ტრანსფერებში“ — თქვა ფრანგმა.

ვაჟა ხუციშვილი

# ხვალ რომას დაბადების დღეა

## ულტრასებო, შეიწყალეთ კივუ!



**იტალიური** „რომა“ დაარსების 80-წლისთავს ხუთშაბათს „სტადიო ოლიმპიკოზე“ იზეიმებს და კლუბის მმართველმა როზელა სენსიმ, მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის დარად, ფანებს სთხოვა, კრისტიან კივუს ობსტრუქციას ნუ მოუწყობთო.

მოგეხსენებათ, კივუს წასვლა-არწასვლის ამბავი ძალიან გაიწელა და „რომას“ „ულტრასებს“ ის არ სიამოვნებთ, რომ დიდ ხელფასზე დაგეშილ რუმინელს მტკიცედ აქვს გუნდის გამოცვლა გადაწყვეტილი. ეს თუ ამ ზაფხულს არ მოხდა, ერთი წლის მერე კივუ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს გუნდს.

რუმინელი ჯერჯერობით „რომასთან“ ერთად ვარჯიშობს და ფანების სტვენის ატანა უწევს. დედაქალაქელთა ხელმძღვანელობა კი სიტუაციის განმუხტვას ცდილობს.

როზელა სენსი: „იმედია, ხუთშაბათს ყველაფერი კარგად და ხალისიანად ჩაივლის. მე და მამაჩემს, ფრანკო სენსის, გვინდა, რომ ბრწყინვალე ზეიმი გამოვიდეს. ფანებს ვთხოვ, კივუს ობსტრუქციას ნუ მოუწყობენ, მან „რომას“ ბევრი მისცა და ამას არ იმსახურებს. შესაძლო ტრანსფერზე კი ახალი არაფერია. სპალეტიმ თქვა, თუ კივუ წავა, ორი ახალი ფეხბურთელი დაგვჭირდებაო. მწვრთნელმა იცის, გუნდს რაც სჭირდება და მას ამ საკითხზე თავის დროზე დაველაპარაკები“.

კოკი კანდელაკი

ავსტრია. ბუნდესლიგა

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 19 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |

შვეიცარია. სუპერლიგა

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 25 | სიონი-აარაუ | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:45 | 26 | სტ.გალენი-ბაზელი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:45 | 27 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 28 | ქსამაქსი-თუნი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:45 | 29 | ციურიხი-ლუცერნი | 1.35 | 4.20 | 7.30 | 1.02 | 1.13 | 2.66 |

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 34 | ბელინცონა-ვადუცი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 21:45 | 35 | ჩამი-სერვეტი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 21:45 | 36 | კიასო-ივერდონი | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 21:45 | 37 | კონკორდია-დელემონი | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| 21:45 | 38 | კრინსი-შაფჰაუზენი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 21:45 | 40 | ლოზანა-გოსაუ | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 21:45 | 41 | ვოლენი-ვილი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

რუსეთი

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 72 | მოსკოვი-სატურნი | 1.85 | 2.80 | 5.20 | 1.11 | 1.36 | 1.82 |
| 19:00 | 73 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 2.60 | 2.70 | 2.80 | 1.32 | 1.34 | 1.37 |

დანია. სუპერლიგა

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 22:00 | 103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |

ფინეთი

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 146 | ჰონკა-ჰაკა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 147 | ჰიკ-მიუპა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |

ისლანდია

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 151 | ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:15 | 152 | ვალური-ფილკირი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 23:15 | 153 | ვიკინგური-ფრამი | 2.15 | 3.10 | 2.95 | 1.26 | 1.24 | 1.51 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 154 | აკრანესი-კოპავოგური | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |

ბრაზილია

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 166 | ატლეტიკო პრ-კრუზეირო | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 23:45 | 167 | გოიასი-სანტოსი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 168 | ფლამენგო-ამერიკა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 169 | ნაუტიკო-გრემიო | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 23:45 | 170 | ფიგეირენსე-კორინთიანსი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 171 | ინტერნასიონალი-პარანა | 1.70 | 3.25 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.86 |
| 23:45 | 172 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 173 | ატლეტიკო მნ-ფლუმინენსე | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 175 | სან პაულუ-სპორტ რისაიფი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |

ჩემპიონთა ლიგა

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 188 | ელფსბორგი-ლინფილდი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 22:30 | 191 | ტირანა-დომჟალე | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 19:00 | 193 | პიუნიკი-დერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 195 | ტამპერე-მურატა | 1.09 | 7.40 | 15.00 | 1.00 | 1.01 | 4.95 |
| 22:00 | 196 | ტორშავნი-ჰაფნარფიორდური | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 19:00 | 197 | ვენტსპილსი-ტნს | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 22:00 | 198 | ჟილინა-დუდელანჟე | 1.05 | 9.00 | 17.00 | 1.00 | 1.00 | 5.88 |

აზიის თასი 2007

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:20 | 310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 17:20 | 311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |

ამხანაგური მატჩები

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 219 | მარსელი-არისი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 227 | ზალცბურგი-არსენალი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 22:30 | 230 | ლოკერენი-ბრიუგე | 3.60 | 3.25 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |
| 22:45 | 233 | ჰიბერნიანი-ბოლტონი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 238 | დანდი იუნ.-ბარსელონა | 11.00 | 6.50 | 1.14 | 4.08 | 1.03 | 1.00 |
| 22:45 | 240 | ნიუკასლი-სელტიკი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |

გერმანია

თასი

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |

ბელგია

სუპერ თასი (ბრიუსელი)

28 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 292 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |

ნორვეგია. თასი

25 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 293 | ლილესტრიომი-ალესუნდი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:00 | 294 | ლინი-ბოდიო გლიმტი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:00 | 295 | რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1.35 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.47 |
| 20:00 | 296 | სტარტი-ჰაუგესუნდი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:00 | 297 | სტრიომგოდსეტი-ნოტოდენი | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 22:00 | 298 | ვიკინგი-ბრანი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 299 | ნიბერგსუნდი-ვოლერენგა | 9.00 | 4.30 | 1.30 | 2.90 | 1.13 | 1.00 |

შვედეთი. თასი

26 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 389 | იოსტერსი-კალმარი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:15 | 391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

ჩოგბურთი.კაცები. გრენბი

25 ივლისი

18:00 358 ოკუნი-გრეგორცი ........................................ 1.20 ........................................ 3.30

ჩოგბურთი.ქალები. ბად გაშტეინი

25 ივლისი

13:00 385 ლუა-მიუსბურგერი ........................................ 1.10 ........................................ 4.50

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10019 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10025 | სიონი-აარაუ | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10026 | სტ.გალენი-ბაზელი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.60 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10028 | ქსამაქსი-თუნი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.65 | 2.50 | 6.00 | 1.00 | 1.29 | 1.76 |
| 10072 | მოსკოვი-სატურნი | 2.30 | 1.90 | 5.30 | 1.04 | 1.60 | 1.39 |
| 10073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 3.00 | 1.90 | 3.20 | 1.16 | 1.54 | 1.19 |
| 10102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 4.40 | 2.10 | 2.20 | 1.42 | 1.46 | 1.07 |
| 10103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.50 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.96 |
| 10146 | ჰონკა-ჰაკა | 2.65 | 2.00 | 3.35 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10147 | ჰიკ-მიუპა | 2.45 | 2.10 | 3.85 | 1.13 | 1.49 | 1.35 |
| 10307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11019 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11025 | სიონი-აარაუ | 2.15 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11026 | სტ.გალენი-ბაზელი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11028 | ქსამაქსი-თუნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11072 | მოსკოვი-სატურნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11146 | ჰონკა-ჰაკა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11147 | ჰიკ-მიუპა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12019 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 12025 | სიონი-აარაუ | 1.90 | 1.70 |
| 12026 | სტ.გალენი-ბაზელი | 1.90 | 1.70 |
| 12027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1.90 | 1.70 |
| 12028 | ქსამაქსი-თუნი | 1.90 | 1.70 |
| 12029 | ციურიხი-ლუცერნი | 2.00 | 1.60 |
| 12072 | მოსკოვი-სატურნი | 1.55 | 2.10 |
| 12073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 1.60 | 2.00 |
| 12102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 2.00 | 1.55 |
| 12146 | ჰონკა-ჰაკა | 1.90 | 1.70 |
| 12147 | ჰიკ-მიუპა | 1.70 | 1.90 |
| 12307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 1.90 | 1.70 |
| 12310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 1.60 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15019 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | სიონი-აარაუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | სტ.გალენი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15028 | ქსამაქსი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | მოსკოვი-სატურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ჰონკა-ჰაკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ჰიკ-მიუპა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14019 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 14025 | სიონი-აარაუ | 1.30 | 2.50 |
| 14026 | სტ.გალენი-ბაზელი | 2.10 | 1.75 |
| 14027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1.80 | 2.00 |
| 14028 | ქსამაქსი-თუნი | 1.70 | 2.20 |
| 14029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.10 | 2.60 |
| 14072 | მოსკოვი-სატურნი | 1.65 | 2.30 |
| 14073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 1.90 | 1.90 |
| 14102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2.30 | 1.65 |
| 14103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.08 | 2.90 |
| 14146 | ჰონკა-ჰაკა | 1.80 | 2.00 |
| 14147 | ჰიკ-მიუპა | 1.70 | 2.20 |
| 14307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 2.20 | 1.70 |
| 14310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 1.75 | 2.10 |
| 14311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 1.75 | 2.10 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16019 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.80 | 1.85 |
| 16025 | სიონი-აარაუ | 1.14 | 4.70 |
| 16026 | სტ.გალენი-ბაზელი | 2.20 | 1.52 |
| 16027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1.55 | 2.20 |
| 16028 | ქსამაქსი-თუნი | 1.40 | 2.55 |
| 16029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.10 | 5.50 |
| 16072 | მოსკოვი-სატურნი | 1.32 | 3.00 |
| 16073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 1.82 | 1.82 |
| 16102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2.90 | 1.32 |
| 16103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.08 | 5.00 |
| 16146 | ჰონკა-ჰაკა | 1.55 | 2.20 |
| 16147 | ჰიკ-მიუპა | 1.40 | 2.55 |
| 16307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 2.30 | 1.48 |
| 16310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 1.50 | 2.30 |
| 16311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 1.50 | 2.30 |

## გოლი:ლუწი-1 ან კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17019 | მატერსბურგი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | სიონი-აარაუ | 1.85 | 1.95 |
| 17026 | სტ.გალენი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17028 | ქსამაქსი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | მოსკოვი-სატურნი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | რუბინი-ლოკომოტივი მ | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ჰონკა-ჰაკა | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ჰიკ-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17307 | შტუტგარტი-ბაიერნი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17310 | სამხრეთ კორეა-ერაყი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17311 | იაპონია-ს.არაბეთი (ნ) | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## კოკა კოლას თასი. თბილისი. 23-28 ივლისი
## ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$

# ვინ დალევს კოკა კოლას?

## გუშინ ქართველებს ყელი გაუშრათ

მატიას ნემიზი (არგენტინა) — ანდრეი ციმაკი (ჩერნოგორია) 6:2 6:3
შარლ როშე (საფრანგეთი) — ანდრეი პლოტნიოვი (რუსეთი) 6:2 6:2
ჯეიმს მაუგი (ირლანდია) — მიხაილ პაზიჩკი (სლოვაკეთი) 7:6 6:1
ალექსი ბესონოვი (ბელარუსი) — სერგეი ბეტო (ბელარუსი) 3:6 6:3 6:3
ჯირი კრკოსკა (ჩეხეთი) — ვლადისლავ ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 6:1
ტომას ჯანკი (სლოვაკეთი) — სტანისლავ ჟურავსკი (რუსეთი) 4:6 7:6(8) 6:3
კლემენ მორელი (საფრანგეთი) — ნიკოლოზ ქურდაძე (საქართველო) 6:2 6:3



**გუშინ** იან ჰომერის სახელობის კორტებზე „კოკა-კოლას თასად“ წოდებულ საერთაშორისო ტურნირზე კაც ჩოგბურთელთა შორის ძირითადი ბადის პირველი თამაშები გაიმართა. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია და აქედან გამარჯვებული 1900 დოლარს მიიღებს. ძირითად ბადეში ხუთი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობს. ტურნირის პირველ ნომრად რუსი მიხაილ ელგინია განთესილი, მეორე ნომრად — ფრანგი კლემენ მორელი, ხოლო სამეულის ბოლოს ქართველი ლადო ჩიხლაძეა. გუშინ პირველი წრის შვიდი თამაში გაიმართა. პირველივე შეხვედრა უიღბლო გამოდგა ნიკოლოზ ქურდაძისთვის, რომელმაც მეორე ნომრად განთესილ კლემენ მორელთან წააგო და კოჭიც დაიზიანა. დაძაბული ბრძოლა გამართეს ერთმანეთში ბელარუსმა სპორტსმენებმა — ალექსი ბესონოვსა და სერგეი ბეტოს შორის გამარჯვებული სამ სეტში გამოირკვა 3:6, 6:3, 6:3. მეშვიდე ნომრად განთესილმა ფრანგმა შარლ როშემ ადვილად დაამარცხა რუსი ანდრეი პლოტნიოვი 6:2 6:2.

ერთეულთა პარალელურად წყვილთა ბურთაობაც იმართება. საქართველო სამი წყვილით არის წარმოდგენილი კუხალაშვილი-ქურდაძე, ჭანტურია-ნავროზაშვილი და ხრიკაძე-ოსაძე. აქედან ორი ტურნირს უკვე გამოეთიშა. ხრიკაძე-ოსაძის ტანდემი რუსეთის წარმომადგენელ ფილენკოვი-ლიფშიტის დუეტთან დამარცხდა, ხოლო კუხალაშვილმა და ქურდაძემ ვერაფერი მოუხერხეს აბდუხქალიკოვსა და ბუკოვს, რომლებიც იან ჰომერზე ყაზახეთის სახელით გამოდიან. სენსაციური შედეგით დასრულდა მეოთხე ნომრად განთესილი უკრაინელების, ანიკანოვისა და ბონდარენკოს შეხვედრა სომხურ დავითიან-სოფიანის წყვილთან. გამარჯვებულები ჩვენი სომეხი მეზობლები გამოვიდნენ.

დღეს ერთეულებშიც და წყვილებშიც მორიგი თამაშები გაიმართება. ასპარეზობაში ჩაერთვება ლადო ჩიხლაძე და ჭანტურია-ნავროზაშვილის წყვილი. ჭანტურია-ნავროზაშვილის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩიხლაძეს რუს იგორ რუდთან გამარჯვება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

**ზურაბ მიგრიაული**

# რეიტინგი, ქამიკო, რეიტინგი...


ლეილა მესხი

**საკმაოდ** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თბილისში კაცთა საერთაშორისო ტურნირი ტარდება, მაგრამ ისე მოხდა, რომ ქართული ჩოგბურთის ეპიცენტრი ამ დღეებში იან ჰომერის სახელობის კორტებზე კი არა, სულ სხვაგან ტრიალებს.

მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინ ქართული ჩოგბურთის ცნობილმა სახეებმა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლეილა მესხის საწინააღმდეგო კომპანია წამოიწყეს და ფედერაციის დებულებაში არსებული წესების თანახმად, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ამ ყრილობაზე ახალი პრეზიდენტის არჩევა გადაწყვიტეს და მოინდომეს.

მაშინ, როდესაც ოპოზიციონერებმა ამბოხი წამოიწყეს, ლეილა მესხის ერევანში იყო და ITF-ის ეგიდით მიმდინარე კაცთა ტურნირის დირექტორის ფუნქციებს ასრულებდა. მაშინ იყო, ერევანში რომ დავუკავშირდით, ლეილა მესხმა გვითხრა, ჩამოვალ და ყველა კითხვას პასუხს გავცემო.

გუშინ, სწორედ იმ დროს, როდესაც დიღმის კორტებზე ასე მონატრებული ტურნირი გახურდა, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვაკეში პრესკონფერენცია გამართა და მეტოქე ბანაკის მიერ ამ ცოტა ხნის წინ დასმულ კითხვებს პასუხი გასცა.

მხარდამჭერნი და გვერდით მდგომნი არც პრეზიდენტს აკლდა. სხვა თუ არაფერი, მის გვერდით თანამედროვეობის საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე იჯდა. სათქმელი ლეილა მესხსაც ჰქონდა და ამ კორტისმიღმა თამაშში ძნელი გასარკვევია მტყუან-მართალი.

მთავარი ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი ქართულ ჩოგბურთს არ წაადგება. არც ის იყო კარგი, პრეზიდენტის არყოფნაში მის საწინააღმდეგოდ ამბოხი რომ აგორდა და თბილისური ტურნირის პირველ დღეს, სულ სხვა ადგილას გამართულ პრესკონფერენციასაც, რაღაც სხვანაირი დატვირთვა აქვს.

ყველა თავისთვის ომობს და ამ დროს ის ყველას ავიწყდება, რომ თბილისური შეჯიბრის ძირითად ბადეში რეიტინგით მხოლოდ ერთი ქართველი მოხვდა; კიდევ ერთმა ამის გაკეთება კვალიფიკაციიდან მოახერხა და სამსაც „ვაილდ ქარდი“ მისცეს...

მონაწილეთა რეიტინგს გადავხედოთ და დავინახავთ, რომ ასეთი გაქანების მქონე ჩოგბურთელთა ქვეყანაში შიდაომები სრულიად ზედმეტია.



## ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბელგრადი, სერბეთი. 21-28 ივლისი


ეკა გორგოძე

# ფესტივალის ამოსავალი ბრინჯაო

**სერბეთის** დედაქალაქ ბელგრადში გახურდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც ქართული დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი გუნდითაა ჩართული. მართალია, ქართველებს არცერთ სათამაშო სახეობაში არ ჰყავთ გუნდი — არც ფრენბურთში, არც წყალბურთში, არც კალათბურთში და არც სხვა, რომელიმეში, მაგრამ ერთეულებში ცდილობენ დანაკლისის ანაზღაურებას და ფესტივალის მეორე დღეს, 24 ივლისს მოპოვებული ერთი მედლების წყალობით მედლის დაფაზეც გამოაჩინეს ხუთჯვრიანი დროშა. ეს მედალი კი — რა გასაკვირია და — ჩვენთვის ასე შინაურული და ლამის მშობლიურად ქცეული ძიუდოს წარმომადგენელმა მოუტანა ქართულ გუნდს — 50 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბრინჯაო მოიპოვა ოთარ კაიდარაშვილმა.

საკმაოდ დამაჯერებლად მიიწევენ წინ ჩოგბურთელები. გოგონათა ბადის მერვედფინალში ეკატერინე გორგოძე ბულგარელ აპალინა პეხაევას შეხვდა. იოლად, 6:2 მოგებული პირველი სეტის შემდეგ გორგოძეს მეორე სეტში ბულგარელისგან მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, მაგრამ იქ ქართველმა გოგონამ იყოჩაღა, საბოლოოდ მოიგო — 6:2 7:6 და მეოთხედფინალში ჩვენებური გავიდა.

გორგოძის და პეხაევას მატჩი დილის 9 საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარს გასტანა, მაგრამ ქართველის საშეჯიბრო დღე ბულგარელის ძლევით როდი დამთავრდა. ეკამ რამდენიმე საათი დაისვენა, 4 საათზე კი გიორგი ხმიადაშვილთან ერთად, შერეულ წყვილებში, ასევე მერვედფინალში შეება ლატვიურ წყვილს (მიკელის ლიბაეტისი-მონტა რეინფილდი), ლატვიელებმა მხოლოდ პირველ სეტში გაუძლეს ქართველთა მოძალებას და 4:6 დათმეს, მეორეში კი გორგოძე-ხმიადაშვილის დუეტმა დამაჯერებლად, 6:2 ძლიეს მათ და მეოთხედფინალშიც გავიდა.

ნაკლები წარმატებით გამოვიდა მაგიდის ჩოგბურთში ჩვენებური ვირაბ კაზარიანი, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუქსემბურგელ იან თეუსს ღირსეული წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ ერთი სეტიც კი ვერ აართვა და საბოლოოდ 7:11 8:11 9:11 ანუ 0:3 დამარცხებული გამოეთიშა ტურნირს.

ნათელი წერტილი ჩანს მძლეოსნობაში, სადაც დელეგაციის მთავარი იმედია 400 მეტრზე მორბენალი ენდრიკ ზილბერშტეინი. გუშინ უმცროსმა ზილბერშტეინმა საკვალიფიკაციო გარბენში მიიღო მონაწილეობა და ძალზე იოლად გავიდა შემდეგ ეტაპზე ანუ ნახევარფინალში. ენდრიკმა 400 მეტრი 49,60 წამში გალია და თავის სტარტზე მხოლოდ ბრიტანელ უეინ აშალს (49,45) თუ ჩამორჩა. თუ ოდნავ მოუმატებს, ზილბერშტეინს შეუძლია ნახევარფინალიდანაც გავიდეს და ფინალურ გარბენში ეძებოს მედალი, ხოლო მძლეოსნობის მედალი საერთაშორისო ტურნირზე ბოლოს როდის მოიგო ჩვენებურმა, ამას ნამდვილად ვერ მოგახსენებთ.

**კოტე ყორშია**



# პლაჟი ალპებში და საქა და რთველო

**შვეიცარიულ** გშტაადში, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ და პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო.

გაკვირვება იმ შუაშია, რომ ამ გშტაადს, რომელიც სადღაც ალპების მთების მიდამოებში მდებარეობს, პლაჟებთან და ზღვა-ოკეანეებთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ საქართველოში თუ შეიძლება სპორტული მინი-მოედნების გაკეთება, არც შვეიცარიელებს უჭირთ ალპებში ცოტაოდენი სილის ატანა და ზღვის გარეშე საზღვაო ატმოსფეროს შექმნა.

ასე თუ მივუდგებით, ქართველები, მაინც უფრო მაგრები გამოვდივართ, რადგანაც ზღვა კი გვაქვს, მაგრამ პლაჟბურთი არ ვიცით და ამის მიუხედავათ, უზღვო შვეიცარიაში გუშინ დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმაოდ რიგიანი ფრენბურთელებით ვიწონებთ თავს.

თან ამ ფრენბურთელებს სახელებიც ისეთი ჰქვიათ, მართლაც რომ რიხიანი — გეორ-გია და საქა-რთველო და იმის იმედიც გვაქვს, მთლად ოთხივენით თუ არა, ერთი წყვილით მაინც, გაისად გასამართ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც მოვიწონებთ თავს.

მოკლედ, ასეა: გშტაადში პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ამ ჩემპიონატში ქართულად წოდებული ბრაზილიელებიც თამაშობენ.

პირველნი საქმეში ქალები ჩაებნენ და ჩვენმა ეშხიანმა საქამ და რთველომ 0:2 (20:22 19:21) წააგეს მე-10 ნომრად განთესილ ბერძნებთან, კარადასიუსა და არვანიტასთან.

ჩემპიონატის სისტემა ასეთია: თავიდან ჯგუფური ტურნირი ტარდება და ოთხწყვილიან ჯგუფში ქართველ-ბრაზილიელებისა და ბერძნების გარდა ნამდვილი ბრაზილიელები — კლარა და კაროლი და ავსტრიელი დები შვაიგერები არიან. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე რომ ორი საუკეთესო გადის და იქიდან გამომდინარე, რომ გუშინ ნამდვილმა ბრაზილიელებმა ავსტრიელებს აჯობეს, ჩვენი ბრაზილიელები ბერძნებთან მარცხის შემდეგ ცუდ დღეში არიან — საიმისოდ, პლეი ოფში თამაში უფლება რომ მოიპოვონ, მათ დღეს აუცილებლად უნდა მოუგონ თავიანთ თანამემამულეებს.

ქალების საქმე ასე იყო და კაცებმა, ანუ გეორგ და გიამ ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში, დაძაბულ სამსეტიან პაექრობაში 21:15 18:21 15:10 მოუგეს ჰოლანდიელებს, ლოერსმასა და რონსს. ამათ გარდა ჯგუფში ამერიკელები — როჯერსი და დალჰაუზერი და შვეიცარიელები — გაბატულერი და ვენგერი არიან. ჩვენიანებს პლეი ოფში გასასვლელად ერთი მოგებალა სჭირდებათ და იმედია, ამას გააკეთებენ კიდეც



# გირჩებით პეკინში ვერ წახვალ



**ესპანეთის** ქალაქ გრანადაში დიდი გრგვინვა და სროლა იყო, რაშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ იქიდან ხელმოცარულნი დაბრუნდნენ. საუბარია სასტენდო, სპორტული და პნევმატური პისტოლეტებით სროლაზე, რომლებშიც ევროპული ჩემპიონატის მედლებთან ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც თამაშდებოდა.

თავდაპირველად სარბიელზე სპორტული იარაღით მოასპარეზენი გავიდნენ. თბილისელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ სპორტული პისტოლეტით სროლაში მერვე ადგილი დაიკავა, რითაც უკმაყოფილო დარჩა, რადგან გაცილებით უკეთ გამოსვლას ელოდა. თუმცა, როგორც თავად გვითხრა, საამისოდ ერთადერთი საწვრთნელი შეკრება საკმარისი არ იყო.

რაც შეეხება ოლიმპიურ ლიცენზიას, ნინო სალუქვაძეს ამ მხრივ, როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვს, რადგან საქართველოს სპორტსმენთაგან რახანია მან პირველმა მოიპოვა პეკინის თამაშებში გამოსვლის უფლება და ეს მისთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება.

ასეა თუ ისე, გრანადაში სარბიელი შემდეგ სასტენდო სროლას დაეთმო, სადაც საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ მეთვრამეტე ადგილი დაიკავა.

საქართველოს სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა მოსკოვში მცხოვრები ჩვენებური პავლე ლაკია, რომელიც მრგვალ სტენდზე სროლაში მეჩვიდმეტე იყო.

— საქმეში ჩაუხედავ კაცს იქნებ პავლე ლაკიას მეჩვიდმეტე ადგილი ბევრიც არაფერი ჰგონია, მაგრამ ეს ასე არაა — გვეუბნება საქართველოს სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის შვიდგზის ჩემპიონი სასტენდო სროლაში **თამაზ იმნაიშვილი** — მე, როგორც სპეციალისტს, თუ სიტყვაზე მენდობით, ვიტყვი, რომ იგი კარგად გამოვიდა. მან 125 შესაძლებლიდან 119 ქულა მოაგროვა, რაც კარგი შედეგია. სამწუხაროდ, ლაკიას ორად ორი ქულა დააკლდა პეკინის ოლიმპიური ლიცინზიის მოსაპოვებლად. რაც შეეხება სხვებს, თბილისელ გივი შენგელიასა და დავით ქვათაძეს, მათ ბოლო ადგილები დაიკავეს. უკეთეს შედეგებს არც ველოდით. აბა, განა შეიძლება, რომ უვარჯიშებელ კაცს მეტი მოსთხოვო? არადა, მთელ საქართველოში ერთი სავარჯიშო ადგილიც არლა გვაქვს. არის მხოლოდ ვარკეთილში, სადაც პრაქტიკულად ვარჯიში შეუძლებელია. აქ სამიზნეებს ხელით უშვებენ, რის გამოც სინქრონულობა წარმოუდგენელია, თანაც არც უსაფრთხოების გარანტია არსებობს. ამიტომაც ჩვენი მესტენდურების ერთადერთი ვარჯიში... ნადირობაა. შენგელია მეუბნებოდა, ესპანეთში გამგზავრებამდე მეგობრები ტყეში ზემოთ გირჩებს მიგდებდნენ და სროლაში ასე ვვარჯიშობდიო. ეს რომ უცხოელმა მსროლელებმა იცოდნენ, სასაცილოდ არ ეყოფათ, ქვათაძე კი ამბობს, ასეთ პირობებში რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდაო.

თამაზ იმნაიშვილი ყოველივე ამაზე გულისტკივილით რომ საუბრობს, გვახსენდება ის დრო, როცა ბრწყინვალე მესტენდურები გვყავდა და მაინცდამაინც არც სასროლეთებს ნაკლებობას ვუჩიოდით. 1991-92 წლების ცნობილი მოვლენებისას მთლიანად დაიტაცეს ტყვია-წამალი და იარაღი, რომლითაც მხოლოდ მწყერს თუ მოკლავდი. სწორედ მაშინ დაინგრა და გაჩანაგდა ვარკეთილში მდებარე სასტენდო სასროლეთი, რომელიც მოგვიანებით ფერმად აქციეს. ასევე გაპარტახდა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხისა და ოზურგეთის სასროლეთებიც, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდა.

ახლა დავუბრუნდეთ ესპანეთს, სადაც კიდევ ერთი ჩვენი სპორტსმენი, მაია გუბიევა გამოდიოდა. იგი სასანგრო სროლაში ასპარეზობდა და ისიც სადღაც ბოლო ადგილებზე გავიდა. როგორც თამაზ იმნაიშვილმა გვითხრა, მაიამ შეჯიბრება ცუდად დაიწყო და პირველ სერიაში მხოლოდ 15 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე სერიაში უკეთ ისროლა და თავიდანაც ისევე რომ დაეწყო, ალბათ მეათე ადგილზე გავიდოდა.

ერთი სიტყვით, ჩვენი მსროლელები საპეკინოდ ისევ მხოლოდ ნინო სალუქვაძის ლიცენზიის ამარა არიან. ჩვენს მესტენდურებს სალიცენზიო შანსი სექტემბერში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ექნებათ, მაგრამ, თამაზ იმნაიშვილის თქმით, იმედი უმნიშვნელოა.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**



# ოკლენდი, 2011



**საერთაშორისო** რაგბის მმართველმა ორგანიზაცია ირბ-მ ოფიციალურად განაცხადა 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძელი ქვეყანა — მეექვსე მსოფლიოს თასი ახალ ზელანდიაში ჩატარდება. ჯერჯერობით გაურკვეველია რამდენ ქალაქზე მოვა დატვირთვა, მაგრამ აქედანვე გახდა ცნობილი, რომ თასის ფინალი ქვეყნის საქმიან დედაქალაქ ოკლენდში ჩატარდება 22 ან 23 ოქტომბერს განთქმულ „იდენ პარკზე“.

ახალი ზელანდია მეორედ უმასპინძლებს პლანეტის უძლიერეს სარაგბო ნაკრებებს. პირველად ეს 1987 წელს მოხდა, როცა სწორედ ახალ ზელანდიაში დაიწყო მსოფლიოს თასების ათვლა და მაშინ „ოლ ბლექსი“ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. შემდეგ ახალ ზელანდიას სურდა, ავსტრალიას შეზიარებოდა 2003 წლის თასის მასპინძლობაში და თავიდან ასეც იყო დაგეგმილი, მაგრამ შემდეგ რატომღაც ზელანდიელებს ჩამოერთვათ თანამასპინძლის სტატუსი და ტურნირი მთლიანად ავსტრალიას შერჩა.

**კოტე ყორშია**



ვადიმ ვასილევსკისი

# პიტკამაკის შუბი სტყორცნეს

**ფინელი** შუბის მტყორცნელი ტერო პიტკამაკი ზღაპრულ ფორმაში კია და აგვისტოში ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე მთავარ ფავორიტადაც მოიაზრება, მაგრამ იაპონიაში მან კონკურენტებიც მძლავრი ეყოლება — 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ნორვეგიელი ტრიუმფატორი ანდრეს ტორკილდსენი და ამერიკელი სეზონის რეკორდსმენი ბრიუს გრირი მრისხანედ უღერებენ შუბს ტეროს.

თითქოს ესენი არ იყვნენ საკმარისნი, მედლის რეალურად მსურველთ მოკლე სიაში ახლა კიდევ ერთი რომ არ ჩაწერილიყო. ოსაკაში მედალზე პრეტენზია ექნება ლატვიელ ვადიმ ვასილევსკისაც, რომელსაც 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლი აქვს ნაშოვნი, მაგრამ მას შემდეგ ჩრდილში იყო მიმალული. ახლა ვასილევსკი სერიოზული განწყობით გამოვიდა სანადიროდ — იქვე, ესტონეთში გამართულ სოლიდურ სამძლეოსნო ტურნირზე 90,73 მეტრზე დაასო შუბი და შარშან რიგაში დამყარებულ პირად რეკორდს 30 სანტიმეტრი წაამატა, ზოგადად კი ამ ნასროლით კონკურენტებს ანიშნა, მეც კარგ ფორმაში ვარ და ერთმანეთზე ფიქრისას და ნერვიულობისას, ჩემზეც იფიქრ-ინერვიულეთო. მას ამ 90-მეტრიანის გარდა სხვა ნატყორცნებიც რიგიანი გამოუვიდა. ჩანს, მძლავრხელა ლატვიელისთვის პრობლემას არ წარმოადგენს 86-87 მეტრის ფარგლებში ტყორცნა, ეს კი უკვე მედლის მისადგომებია.

ტალინში კიდევ რამდენიმე აღსანიშნავი შედეგი დაფიქსირდა. ესტონელები განსაკუთრებით ნაამებნი დარჩნენ თანამემამულე ბადროს მტყორცნელ გერდ კანტერის გამოსვლით. მან 67,76 მეტრზე ნატყორცნით მოიგო და უთქმელი მუქარა შეუთვალა ლიტველ ვირგილიუს ალეკნას — მთლად ისე ეულად, შენ რომ წარმოგიდგენია, ვერ დგახარ ბადროს მტყორცნელთა მწვერვალზეო. კანტერს მიჰყვნენ უნგრელი ოლიმპიური პრიზიორი ზოლტან კოვაგო (63,72) და ფინელი ფრანც კრუგერი (63,66).

სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა მართლაც ბებერმა იამაიკელმა ჯეიმს ბეკფორდმა, რომელმაც ჯერ კიდევ ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადეზე მოიპოვა მედალი. ტალინში მისი შედეგია 8,35. წლეულს ამაზე შორს გადამხტარან თავად ის, დღევანდელი ნომერ პირველი სიგრძეთმხტომი ირვინ სალადინო (პანამა) და ლუის ცატუმასი (საბერძნეთი).

ქალთა სიგრძეზე ხტომაში მოგება არ გასჭირვებია რუს ვარსკვლავ ტატიანა ლებედევას, რომელმაც მართალია 7-მეტრიანი ნიშნული თავისი წინა ტურნირისგან განსხვავებით ვერ გადალახა, მაგრამ 6,89-მეტრიანი ნახტომითაც კმაყოფილი დარჩა.

ტალინში ჩასვლა ინებეს არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ვარსკვლავმძლეოსნებმა, არამედ ამერიკელებმაც, თუმცა მათ მძიმეწონოსან რჩეულებს, ბირთვის მკვრელებს დიდად არ განუცვიფრებიათ ესტი მაყურებელი — მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ადამ ნელსონმა ტურნირი სულ რაღაც 20,16 მეტრზე ნაკრავი ბირთვით მოიგო, სეზონის ლიდერი კრისტიან კანტველი კი 19,58 შედეგით არცთუ დამაკმაყოფილებელ მეოთხე ადგილზე დარჩა.

**კოტე ყორშია**

# მილური განახლება

**როგორც** წესი, ევროპაში არ იმართება სირბილი 1 მილზე (1600 მეტრი). ეს სახეობა არაა შეტანილი დიდრონი ტურნირების პროგრამებში, მსოფლიოს ჩემპიონატებზეც და ოლიმპიადებზეც 1500 მეტრზე დარბიან. მაგრამ სამაგიეროდ ამერიკაშია ძალზე პოპულარული მილიანი გარბენი და იქ ერთ-ერთ ყველაზე „გემრიელ" სახეობადაც ითვლება.




აქ უქმეებზე ამერიკამდე ერთი ცნობა მივიდა, იქიდან კი სხვაგან გავრცელდა: ბელგიის ქალაქ ბრაშაარტში ამერიკელმა ალან ვებმა ერთი მილი 3 წუთსა და 46,91 წამში გაირბინა და 0,78 წამით გააუმჯობესა 25 წლის წინ სტივ სკოტის მიერ დამყარებული ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდი.

„ეს ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული შეგრძნებაა, აქ ევროპაში ასეთ დავიწყებულ ადგილას ამერიკის რეკორდის დამყარება რაღაც უცნაურ განწყობაზე დააყენებდა ყველა ჩემს თანამემამულეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემს ადგილზე" — ამბობდა ვები ნასირბილევს...

სხვათა შორის ალან ვები ოლიმპიურ 1500-საც გადასარევად დარბის, მისი გახლავთ სეზონის რეკორდი — 3.30,54 და ის ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც ამ სახეობაში გაბატონებულ ჩრდილოაფრიკელთა მთავარ მოწინააღმდეგედ მოიაზრება.

**კოტე ყორშია**



# ბოლო მთები და შაბათის მოლოდინი

**დღეს** 94-ე „ტურ დე ფრანსი" მცირე ხნით ესპანეთში შეუხვევს, 218,5-კილომეტრიან გზაზე ჯერ უმაღლესი კატეგორიის მთას გადალახავს, შემდეგ მესამე კატეგორიის მთასაც დალაშქრავს, რასაც ორი პირველი კატეგორიის უღელტეხილი მოჰყვება და ბოლოს კი, ისევ უმაღლესი სირთულის მთა დობისკი და აღმართში ფინიშია.


მიქაელ რასმუსენი

ამით „ტურზე" მთები დასრულდება და შაბათის ინდივიდუალურ რბოლამდე შედარებითი სიმშვიდე დაისადგურებს.

შაბათის დაყოფილი სტარტით რბოლას მავანნი, ვთქვათ კედელ ევანსი, ანდრეას კლოდენი თუ ლევი ლეიფჰაიმერი, იქნებ მოუთმენლადაც ელიან, მაგრამ დღეს თუ ვერ ივარგებენ, შაბათი მათთვის აზრს დაკარგავს, რადგანაც არ ჩანს მიქაელ რასმუსენი ის კაცი, ასე წვალებით მოპოვებულ უპირატესობას 56 კილომეტრში რომ გაანიავებს.

ევანსი რასმუსენთან ზუსტად 4 წუთს აგებს და ლეიფჰაიმერი და კლოდენი ყვითელმაისურიანს უფრო მეტით ჩამორჩებიან. ძნელი წარმოსადგენია, რასმუსენმა ამხელა უპიირატესობა ინდივიდუალურ რბოლაში გაფლანგოს და ამიტომაც, ავსტრალიელმა ევანსმაც, ამერიკელმა ლეიფჰაიმერმაც და გერმანელმა კლოდენმაც, სწორედ დღეს უნდა შეუტიონ.

ამ სამეულსა და რასმუსენს შუა კი ახალგაზრდა ესპანელი ალბერტო კონტადორია და ის მართლა შეუტევს. კონტადორი წინა ორ ეტაპზეც არაერთ იერიშზე გადავიდა, მაგრამ ესპანელის ყველა არგუმენტზე დანიელს კონტრარგუმენტი აღმოაჩნდა და ამბიციურ მეტოქეს მიახლოების საშუალება არ მისცა.

დღეს კონტადორი კიდევ ერთხელ ეცდება, თავისი რომ გაიტანოს და მის გვერდით ევანსი, კლოდენი, თუ ლეიფჰაიმერიც იქნებიან. დღეს ბოლო შანსია, რასმუსენის ლიდერობას წყალი რომ შეუდგეს, მაგრამ არ ჩანს დანიელი ის კაცი, ასე ადვილად რომ დათმოს ყვითელი მაისურა. პირიქით, ის თავისი უპირატესობის გაზრდას შეეცდება, შაბათისთვის უფრო კომფორტულად რომ იგრძნოს თავი.



მეთექვსმეტე ეტაპის პროფილი



# გლოკი და ძველი გვარები

**გერმანიაში,** ნიურგბურგის ლეგენდარულ ავტოდრომზე რბოლით დაიწყო „მომავლის ფორმულის" - **GP2** ჩემპიონატის 11-ეტაპიანი სერიის მეორე ნახევარი.

წინა ეტაპზე ნულოვანი ხელმოცარვის შემდეგ სერიის ლიდერმა გერმანელმა ტიმო გლოკმა („აისპორტ ინტერნეშენელი") მშობლიურ ტრეკზე პირველ რბოლაში უპრობლემოდ მოიპოვა გამარჯვება და უფრო განიმტკიცა გენერალურ კლასიფიკაციაში პირველობა.

25 წლის გლოკმა ორრბოლიან ეტაპზე მაქსიმალური, ოცქულიანი ვარიანტიდან არცთუ ცოტა, 14 ქულა „გამოაღნო" და სადღეისოდ შვიდი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, ბრაზილიელ ლუკას და ბრაზის.

„ნიურბურგრინგზე" მეორე, სპრინტერული რბოლა ესპანელმა ხავიერ ვილიამ („რეისინგ ენჯინინგი") მოიგო, თუმც ბევრით ვერ იხეირა და საერთო ჩათვლაში 21 ქულით მხოლოდ მერვეა. მის წინ კი განლაგდნენ ლეგენდარული ბრაზილიელი მეფორმულე აირტონ სენას დისშვილი — ბრუნო სენა (24) და ზედიზედ მესამედ პოდიუმზე შემდგარი, აგრეთვე ფორმულა I-ის ექსპილოტ სატურო ნაკაჯიმას შვილი კაზუკი (25 ქულა).



# სწრაფი და ენერგიული საქართველო
## ფაჩულიამ მაკედონიას დონე აჩვენა

**საქართველო 86:82 მაკედონია**
**16:24 30:12 13:23 27:23**

**საქართველო:** ცინცაძე (10), ა. ბოისა (1), მ. მარკოიშვილი (9), ნაცვლიშვილი (14), ფაჩულია (39); გამყრელიძე (6), ტულუში (7), უგრეხელიძე
**მაკედონია:** ვ. სტეფანოვი (20), რ. სტეფანოვი (6), გეჩევსკი (15), ტასოვსკი (11), სამარძინსკი (7); ბოგოევი (13), ავრამოვიჩი (7), პეტროვსკი (3), ტაჩი, გიუროსკი

ბულგარელებთან 32-ქულიანი მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა გუშინ არანაკლებ მძლავრი მაკედონია დაამარცხა და ყველას დაანახა, რომ არავისზე ნაკლები არაა. სოფიაში მიმდინარე „ვიცეპტელის თასზე" ამჯერად სხვა, გაცილებით პრაგმატული ტაქტიკით ითამაშეს ქართველებმა. ჩვენიანთა კანადელმა თავკაცმა კენ შილდსმა მოედანზე უწინდელივით ყველა მოთამაშე როდი გაიყვანა, მხოლოდ რჩეულთ მისცა შანსი და არც წაუგია. ბულგარეთთან პერსონალურების გამო მოედნიდან ნაადრევად გავარდნილ ზაზა ფაჩულიასაც მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა და შილდსმა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

„ბულგარეთთან მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენი გუნდი უფრო სწრაფი და ენერგიული იყო — თქვა ნამატჩევს კენ შილდსმა — ეს ბუნებრივიცაა, წინა შეხვედრა ახალმა ნამგზავრებმა ვითამაშეთ, ახლა კი საკმარისად დასვენებულები ვიყავით. შესაბამისად, არც მობილიზება გვაკლდა და საკმაოდ ძლიერი მეტოქეც დავამარცხეთ. მაკედონია ბულგარეთზე სუსტი არ გვგონოთ. უბრალოდ, პირველ მატჩი მოთამაშეების გამოსაცდელად გამოვიყენეთ, თან დაღლილებიც ვიყავით და ამიტომ წავაგეთ დიდი სხვაობით".

შილდსმა სწორად ჩათვალა, რომ ექსპერიმენტებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გუნდის პრესტიჟია და ამჯერად მხოლოდ იმ მოთამაშეებს უხმო მოედანზე, ვისაც საუკეთესოდ მიიჩნევდა. ქართველთაგან მხოლოდ 8 კალათბურთელმა ითამაშა, თანაც, ერთ-ერთმა, დავით უგრეხელიძემ მხოლოდ 7 წუთი გაატარა მოედანზე.

ჩვენებმა ცუდად დაიწყეს და მე-5 წუთზე უკვე 10:19 აგებდნენ. სანამ მეორე მეოთხედი არ დაიწყო, შილდსის ბიჭებმა თამაში ვერ იპოვეს. მერე კი, იცოცხლეთ, კუდით ქვა ასროლინეს შანშანწინ ქართველთა B დივიზიონში ჩამტოვებელ მაკედონიელებს.

პირველ შესვენებაზე ქართველები 8 ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ, მაგრამ განახლდა თუ არა თამაში, ზაზა ფაჩულიამ საქმეები აკეთა, თქვენი მოწონებული. 2-3 წუთში შილდსის შეგირდებმა ანგარიში გაათანაბრეს და პირველი ტაიმის ბოლო გვარიანი შტურმი მოუწყეს ექსიუგოსლავიელებს. 18:2 — ასეთი შტამბეჭდავი 3-წუთეულის მერე ქართველები დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მეორე ტაიმში მაკედონიელები გამოცოცხლდნენ და სხვაობის გაბათილებაც მოახერხეს, მაგრამ ზაზა ფაჩულია გუშინ შეუჩერებელი იყო - „ატლანტას" ცენტრმა 39 ქულა მიითვალა და ჩვენების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ბოლო წუთებზე მაკედონიელები ახლოს მივიდნენ ქართველებთან, სხვაობა ქულამდეც შეამცირეს, თუმცა...

„კოტე ტულიშს ბევრი არ უთამაშია, მაგრამ მან ძალიან მნიშვნელოვანი ქულები შემოგვაშველა — შილდსმა მოთამაშეებიც შეაქო — დაცვაში კარგად ითამაშა ლაშა გამყრელიძემ, მისით კმაყოფილი ვარ. ზაზა ფაჩულია ამჯერად უფრო დაკვირვებული იყო, 5 პერსონალური არ მიუღია, მოედანზე ბოლომდე დარჩა და დიდებულადაც ითამაშა".

მაკედონიელთა ლიდერმა, გამთამაშებელმა ვრბიცა სტეფანოვმა თავისიანთაგან ბომბარდირობა კი იკისრა, მაგრამ მისი 20 ქულა ვერაფერი ნუგეშია მაკედონიელებისთვის.

დღეს ქართველები ტურნირის აუტსაიდერ დანიას ხვდებიან და შილდსი საფიქრალშია, ისევ 7-8 კაცით, შედეგზე ვითამაშო თუ ყველას მივცე თავის გამოჩენის შანსიო... კანადელის თქმით, ტურნირი მაღალ დონეზეა ორგანიზებული და მასში თამაში საქართველოს ნაკრებს სასიკეთოდ წაადგება.

მაკედონიასთან ჩვენებს ბულგარეთში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე ქომაგობდა და ტრიბუნაზე რამდენიმე ქართველსაც მოჰკრავდით თვალს.

**ირაკლი ბერტაია**

# -60 ისრაელამდე
## სერბეთი ერია კალათბურთის [illegible]

**სერბეთი 108:48 საქართველო**
**31:10 25:14 27:8 25:16**

**სერბეთი:** პოპიავიჩი(7), ნიკოლიჩი(2), რადოლავლიევიჩი(12), ჯეკიჩი(10), მუსლი(28); ანდუსიჩი(15), ობრადოვიჩი(11), იარამაცი(5), ლეკიჩი(9), რანდოვიჩი(6), იოვანოვიჩი(3), კუკაშოვიჩი
**საქართველო:** თავართქილაძე(8), ჩიკვილაძე(7), იოსელიანი, დვალიშვილი(9), შენგელია(3); ბოქოლიშვილი(9), ელანიძე(4), მაღლაკელიძე(4), ხეთაგური(2), ბაქრაძე(2), ქობონელიძე, სულაბერიძე

**მეორე** ჯგუფურ ეტაპზე ძლივს გამძვრალი საქართველოს ნაკრებისგან მოგებას აღარავინ ელის. მართალია, ჩვენი 16-წლამდელების თავკაცმა მიხეილ კობეშავიძემ განაცხადა, კიდევ ერთი გამარჯვების გამოძრობას მაინც ვეცდებითო, მაგრამ სერბეთის მძლავრ ნაკრებთან მატჩზე ალბათ ამის თქმას ვერ გაბედავდა.

სერბეთი რომ ევროპის მთავარ საკალათბურთო საბადოდ ითვლება, ყველას კარგად მოეხსენება. ბალკანელებს ჩვენს კონტინენტზე ყოველთვის ეთქმოდათ სიტყვა და ამ წლებში განსაკუთრებით აბობოქრდნენ. სერბეთის 19-წლამდელთა ნაკრები 2 დღის წინ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 20-წლამდელებმა ახლახან ევროპაში იპირველეს. სლავების კადეტთა ამ ნაკრებსაც ჩემპიონობა ამოუჭრია გულში და საბერძნეთში მიმდინარე ევროპირველობაზე წაუგებლად მიიბრძვის წინ.

სერბების მორიგი მსხვერპლი საქართველო აღმოჩნდა. კობეშავიძის გუნდი პირველ ჯგუფურ ეტაპზე ესპანეთსა და იტალიას კი შეხვდა, მაგრამ თავი არ შეურცხვენია. აი, სერბებთან მატჩში კი ქართველები განწირულები იყვნენ და გამანადგურებელი ანგარიშითაც დამარცხდნენ.

ვერც ერთი ქართველი ათქულიან ზღვარს ვერ ასცდა. კობეშავიძის სამწყსო პირველივე წუთებზე რომ ჩამორჩა მეტოქეს, რაც დრო გადიოდა, სხვაობა ნიადაგ იზრდებოდა და ქართველთათვის სავალალო სახეს იღებდა.

პირველი ათწუთეულის შემდეგ საქართველო უკვე 21 ქულას აგებდა, საიდანაც 16 ქულა დეიან მუსლიზე მოდიოდა. ეს მზარდი სერბი 212 სანტიმეტრი სიმაღლისაა და ფარქვეშ მას ვერავინ აჩერებდა. მუსლიმ ბლომად ქულებთან ერთად 12 მოხსნაც დააგროვა, ჩვენიანთაგან კი ყველაზე მეტი ფარიდან ასხლეტილი ბურთი გიორგი ელანიძის ანგარიშზეა - 4.

მეორე მეოთხედშიც გაგრძელდა სერბების შტურმი და ტაიმის ბოლოს ქართველები უკვე 32 ქულით ჩამორჩებოდნენ. მოგება არარეალური გახდა და ჩვენები ცდილობდნენ, ღირსეული ანგარიშით დამარცხებულიყვნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. სერბებმა მესამე მეოთხედი 27:8 მოიგეს და საბოლოოდ 60-ქულიანი ლახვარი ჩასცეს ქართველებს.

დღეს კობეშავიძის გუნდი ისრაელს ხვდება და თუ რამის ამბიცია აქვს, ამ ეტაპზე უკეთეს საკბილოს ვერ ნახავს. ებრაელებმა გუშინ ესპანეთთან წააგეს 25 ქულით და დაახლოებით ჩვენი კალიბრისანი არიან.

**ირაკლი ბერტაია**



ქართველი კადეტები სერბებს ვერ დაეტოლნენ

---

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი კალათბურთელი
**პეტრე გელბახიანი**
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

ვეტერანი ქართველი კალათბურთელები ს. იშხნელი, ი. ინწკირველი, ბ. ლიპარტელიანი, თ. დათიკაშვილი, გ. წულაძე, მ. ლომიძე, კ. ნუცუბიძე, პ. გურასპაული, ა. ვაშალომიძე, გ. ბურჯანაძე, ზ. ტომარაძე და გ. დარსაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ქართველი კალათბურთელი
**პეტრე გელბახიანი**
და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.



AFP

# გამარჯვებული ხალიდი

საჰარაში დაგეგმილი საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი წინმსწრები ღონისძიება ქალაქ ლააიუნეს აქლემთა დოღია — დასავლეთ საჰარის მკვიდრთა საყვარელი სანახაობა. წლეულს ის ვინმე ხალიდ ოულდ ელბაჰიმ მოიგო.

# ბურთი არხში

ბრიტანეთის 136-ე ღია პირველობაზე გოლფში, რომელიც შოტლანდიურ კარნოუსტში ჩატარდა, პოლ ლორის ბურთი არხში ჩაუვარდა და ყვანჯითვე ამოახტუნა იქიდან.



AFP

# დაასველეს

პანამერიკული თამაშები, რომელიც ბრაზილიაში მიმდინარეობს, კარგა ხალისიანი რამ არის. ამერიკელმა ნიჩბოსნებმა ოქროს მედლები მოიგეს და თავიანთი მესაჭე ნედ დელგურჩიო წყალში . გადაისროლეს.



AFP

# ტოკიოში აართვეს

ბუზის წონის ტაილანდელთა ჩემპიონმა პონგსაკლეკ ვონიანგკამმა თავისი საბჭოს (ვბკ) ქამარი, პირწმინდა დამარცხებით გადააბარა იაპონელ დაისუკე ნაიტოს (შუაში), ყველა მსაჯმა იაპონელი ცეროდენას გამარჯვება დაადასტურა. ტოკიოს მაყურებელმა თავისიანი გმირად შერაცხა.

# კეტმიკროფონი



AFP

„ნიუ იორკ იანკიზის" ხორხე პოსტრადა კეტის კოცნით კმაყოფილებას გამოხატავს: კარგად მოვცხე და კარგადაც გავიქეციო. შორიდან კი შეიძლება მომღერალიც ეგონოთ.



AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00